ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 277 (20628) ◆ კვირა, 8 დეკემბერი, 1989 წელი. ◆ ფასი 5 კაპ.

სახეცვლილი და სტაბილური მსოფლიოსათვის

მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტი იტალიაში

რომი, 30 ნოემბერი. (**საქდეს-ის სპეც. კორ.**). ოფიციალური მოლაპარაკება იტალიის რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან, გულწრფელი და გაცხოველებული საუბრები უბრალო იტალიელებთან, რომის მუნიციპალიტეტის სტუმრობა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისადმი მიმართული სიტყვა — ასეთია იტალიაში მ. ს. გორბაჩოვის სახელმწიფო ვიზიტის მეორე დღის ძირითადი მოვლენები. და თუმცა ეს ვიზიტი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, მაგრამ უკვე ახლა სრული საფუძველი გვაქვს ვილაპარაკოთ მის წარმატებაზე.

გამართლდა, ჯერ ერთი, ის პროგნოზი, რომ ვიზიტი დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იქნება სსრ კავშირისა და იტალიის პოლიტიკური ურთიერთობის განვითარების გზაზე, დაადასტურებს მის თვალსაჩინო როლს მსოფლიო და საერთო-ევროპულ საქმეებში.

მეორე, სსრ კავშირ-იტალიის დიალოგმა მნიშვნელოვნად გააფართოვა და გააღრმავა თანამშრომლობის პროცესი ცხოვრების ყველა სფეროში, გამოავლინა არა მარტო ღრმა ინტერესი იტალიაში საბჭოთა საზოგადოების განახლებისადმი, არამედ მისწრაფება აქტიურად შეუწყოს მას ხელი.

და, ბოლოს, იტალიის მიწაზე გამართული შეხვედრების გულითადობა, რომელმაც ასახა ორი ხალხის ტრადიციული ურთიერთობა, საერთო აზრით, ყველა მოლოდინს აჭარბებს.

დღეს გამართული მოლაპარაკების შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა და ჯ. ანდრეოტიმ ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-იტალიის ერთობლივ დეკლარაციას. შემდეგ მათი თანდასწრებით ხელი მოეწერა სოლიდურ პაკეტს — 30-ზე მეტ დოკუმენტსა და ორმხრივ შეთანხმებას, რომლებიც ეხება ორი ქვეყნის ეკონომიკურ, სამრეწველო და ტექნიკურ განვითარებას, კერძოდ, ერთობლივი საწარმოების შექმნას, გარემოს, კოსმოსური სივრცის შესწავლის საკითხებზე სამეცნიერო პროექტებისა და კვლევის ორგანიზაციას. ცალკეული დოკუმენტები ეძღვნება სამხედრო მრეწველობის კონვერსიას, საგანგებო სიტუაციების პროგნოზირებასა და თავიდან აცილებას, ორი ქვეყნის კულტურულ-საინფორმაციო ცენტრების შექმნასა და თანამშრომლობის სხვა ასპექტებს.

რომში გამართული უმაღლესი დონის დიალოგის ღრმა არსს მოწმობენ გაზეთების კომენტარები.

…ნაშუადღევს მ. ს. გორბაჩოვი თავის რეზიდენციაში შეხვდა იტალიის პარლამენტის სენატის დეპუტატთა პალატის ხელმძღვანელებს. გაიმართა აგრეთვე შეხვედრა სამთავრობო კოალიციის პოლიტიკურ პარტიათა ლიდერებთან.

საბჭოთა ხელმძღვანელის რეზიდენციაში გამართულმა კიდევ ერთმა შეხვედრამ შეგვახსენა სოლიდარობა, რომელიც იტალიელებმა გამოიჩინეს გასული წლის

სურათზე: ხელის მოწერის შემდეგ.

საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

კანისა და სპიტაკის მიწისძვრაში მოყოლილ ადამიანთა ხსნაში, გადაეცათ საბჭოთა ორდენები „პირადი ვაჟკაცობისათვის". გადასცა რა ჯილდოები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ს. ა. სიტარიანმა აღნიშნა, რომ ამ მოკრძალებული აქტით სომხები, მთელი საბჭოთა ხალხი გამოხატავენ მადლიერებას იტალიელი მამულიშვილებისადმი, რომლებიც გამოეხმაურნენ უბედურებას და შეძლებისდაგვარი დახმარება გაუწიეს სომხეთს. რომიდან ამ შთამბეჭდავი მოვლენის გაშუქება საქდესის კორესპონდენტებისათვის განსაკუთრებით სასიამოვნოა იმიტომ, რომ ზოგიერთ მათგანს მოუწია შეხვედროდნენ დანგრეული სპიტაკიდან გადმოცემული რეპორტაჟების გმირებს — მამაც მშველელებს, კინოლოგებს, მეკავშირეებს, ექიმებს, და გაეხსენებინათ ერთად გადატანილი სიძნელენი.

საბჭოთა ორდენის ერთ-ერთ კავალერთან, იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთან ვიტორიო ძამბონისთან შეხვედრამ კი შესაძლებლობა მოგვცა დაგვეზუსტებინა დღეს საბჭოთა კავშირ-იტალიის დოკუმენტებზე დამთავრებული მუშაობის ზოგიერთი დეტალი. როგორც გამოირკვა, საგანგებო სიტუაციების ერთობლივი პროგნოზირებისა და თავიდან აცილების შესახებ ეს-ეს არის დადებული შეთანხმება მისი პირმშოა. სომხეთში რამდენიმე კვირის მუშაობის შემდეგ რომში დავბრუნდი, თქვა ვიტორიომ, იმ აზრით, რომ ასეთი დოკუმენტი მეტად საჭირო იყო. რა თქმა უნდა, შეე- [illegible] ცხლე იმის იმედად იყო, რომ შენ სამშობლოს არაფერი არ მოუვა; მაგრამ სომხეთის მწარე გამოცდილებამ შეგვახსენა: სტიქიურ უბედურებებთან ბრძოლაში მარტოხელა ადამიანი უძლურია, საჭიროა ბევრი ადამიანის, სხვადასხვა ქვეყნების ზუსტი და შეთანხმებული მოქმედება.

როგორც კი თავის დროზე გამოაცხადეს ვიზიტის პროგრამა, ჟურნალისტებმა მასში გამოყვეს მნიშვნელოვანი რგოლი — საბჭოთა ხელმძღვანელის სტუმრობა მუნიციპალიტეტში კაპიტოლიუმის ბორცვზე, აქ, იულიუს კეისრის დარბაზში, არის იტალიის საპატიო ტრიბუნა. მუნიციპალიტეტის შესასვლელთან საბჭოთა ხელმძღვანელს შეეგებნენ მუნიციპალიტეტის გენერალური მდივანი, ქალაქის ხელისუფალთა წარმომადგენლები.

მუნიციპალიტეტის სადროშო დარბაზში საბჭოთა ხელმძღვანელი შეხვდა რომის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს. მისალმებათა შემდეგ სტუმარს გადასცეს სამახსოვრო საჩუქარი — რომის სიმბოლოს „კაპიტოლიუმის ძუ მგლის" ასლი. მ. ს. გორბაჩოვმა და რ. მ. გორბაჩოვამ თავიანთი ავტოგრაფები დატოვეს რომის საპატიო სტუმართა წიგნში. მალე ამის შემდეგ მუნიციპალიტეტში მოვიდნენ ფ. კოსიგა და ჯ. ანდრეოტი. სტუმართან ერთად ისინი შევიდნენ იულიუს კეისრის დარბაზშიც, სადაც ქვეყნის სამეცნიერო და კულტურული საზოგადოებრიობის ასობით წარმომადგენელი შეკრებილიყო.

შეკრებილთ სიტყვით მიმართა მ. ს. გორბაჩოვმა.

გამოსვლის დამთავრების შემდეგ, რომელსაც დამსწრენი დიდი ინტერესით შეხვდნენ, მ. ს. გორბაჩოვი, ფ. კოსიგა და ჯ. ანდრეოტი, სხვა ოფიციალური პირნი გამოვიდნენ მუნიციპალიტეტის სადარბაზო პარმაღზე და მიესალმნენ კაპიტოლიუმის ბორცვზე შეკრებილ რომაელებს.

რომი, 1 დეკემბერი. (**საქდეს-ის სპეც. კორ.**). დღეს მთავრდება მ. ს. გორბაჩოვის სახელმწიფო ვიზიტი იტალიაში. დილით კვირინალეს სასახლეში გაიმართა გაცილების საზეიმო ცერემონია. საბჭოთა ხელმძღვანელს ემშვიდობება იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ფ. კოსიგა. შესრულდა სსრ კავშირისა და იტალიის სახელმწიფო ჰიმნები.

ცერემონიაზე იყვნენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჯ. ანდრეოტი, სენატის თავმჯდომარე ჯ. სპადოლინი, პარლამენტის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე ლ. იოტი, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ფ. საია, აგრეთვე მოლაპარაკების მონაწილე იტალიის დელეგაციის წევრები.

გაცილების ოფიციალური ცერემონიის წინ მ. ს. გორბაჩოვს მის რეზიდენციაში გადაეცა პრემია „მშვიდობის ოქროს მტრედი". ამ ჯილდოს იტალიის განიარაღების დოკუმენტაციის ცენტრის პაციფისტური ორგანიზაცია და კოოპერატივების ეროვნული ლიგა ყოველწლიურად ანიჭებენ გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეებს მშვიდობისა და განიარაღების საქმეში შეტანილი წვლილისათვის.

პრემია გადასცა ცენტრის პრეზიდენტმა ლუიჯი ანდერლინიმ. ცერემონიას დაესწრნენ ე. ა. შევარდნაძე, ა. ნ. იაკოვლევი, საბჭოთა დელეგაციის სხვა წევრები, იტალიის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სასახლიდან ავტომანქანების კორტეჟი გაემართა ვატიკანისაკენ, რომელიც იტალიის დედაქალაქის ცენტრში მდებარეობს. ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ამ ქალაქ-სახელმწიფოს, რომის კათოლიკური ეკლესიის ცენტრს ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი.

საბჭოთა კავშირს არა აქვს დიპლომატიური ურთიერთობა ვატიკანთან, მაგრამ ორ სახელმწიფოს შორის დამყარებულია კონტაქტები. ახლანდელ შეხვედრას ადგილობრივი პრესა მიიჩნევს ევროპის კონტინენტზე მომხდარი პოზიტიური ცვლილებების, სხვადასხვა სახელმწიფოს შორის ურთიერთობის განმტკიცების დასტურად, რაც საბჭოთა კავშირის ახლებური აზროვნების პოლიტიკის, აქტიური და კონსტრუქციული საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის შედეგია.

ვიზიტი, რომელსაც აქ ერთსულოვნად უწოდებენ „ისტორიულს", დილის 11.00 საათზე დაიწყო. საბჭოთა ხელმძღვანელის ავტომანქანა ვატიკანის ტერიტორიაზე შედის წმინდა პეტრეს ტაძრის სამრეკლოს თაღიდან სან დამაზოს ეზოში, სადაც გამწკრივებულა მიქელანჯელოს ესკიზების მიხედვით შექმნილ თვალწარმტაც კოსტიუმებში გამოწყობილი შვეიცარიელთა გვარდიის საპატიო ყარაული.

მ. ს. გორბაჩოვი და რომის პაპი იოანე პავლე II იწყებენ საუბარს, რომელიც მიმდინარეობს ერთი ერთზე — უთარჯიმნოდ (პაპმა იცის რუსული ენა)

ცალკე დარბაზში გაიმართა ვატიკანის სახელმწიფო მდივნის ა. კაზაროლისა და საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურის ა. სოდანოს საუბარი ე. ა. შევარდნაძესთან, ა. ნ. იაკოვლევთან და ნ. მ. ლუნკოვთან.

საუბრების დამთავრების შემდეგ პაპმა იოანე პავლე II-მ და მ. ს. გორბაჩოვმა ბიბლიოთეკის დარბაზში მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს.

რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურმა სამახსოვრო მედლები გადასცა და გამოაცილა მ. ს. გორბაჩოვი და რ. მ. გორბაჩოვა, რომელსაც ასევე მიეცა შესაძლებლობა ესაუბრა პაპთან.

ამრიგად, ვიზიტი რომის კათოლიკური ეკლესიის ცენტრში დამთავრდა.

ვატიკანში სტუმრობის შემდეგ საბჭოთა ხელმძღვანელი და მისი თანმხლები ოფიციალური პირნი რომიდან მილანს გაფრინდნენ. მოგზაურობაში მ. ს. გორბაჩოვს თან ახლავს ჯ. ანდრეოტი, ჯ. დე მიქელისი.

სსრ კავშირისა და იტალიის ალმებით მორთულ აეროპორტში მ. ს. გორბაჩოვს შეხვდნენ ქალაქის ხელისუფალნი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. აეროპორტიდან საბჭოთა ხელმძღვანელი და მისი თანმხლები პირნი გაემართნენ ქალაქის ცენტრში, და ცოტა ხნით ისეირნეს ქუჩაში.

მ. ს. გორბაჩოვს დარბაზობა გაუმართეს მილანის მუნიციპალიტეტში. მიესალმა რა საპატიო საბჭოთა სტუმარს, მილანის მერმა პაოლო პილიტერიმ, კერძოდ, თქვა:

მილანი დიდი აღფრთოვანებით მოგესალმებათ თქვენ — მამაც ლიდერს, მშვიდობისა და განიარაღებისათვის მებრძოლს, ნოვატორს, რომელიც სახეს უცვლის საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპას. თქვენ ალბათ დარწმუნდით, ბატონო პრეზიდენტო, რომ ყველა მილანელს უნდოდა გამოეხატა თქვენდამი პატივისცემა, მადლიერება და სიმპათია. ეს არის ქალაქი, რომელიც უდავოდ წარმოადგენს იტალიის არა მარტო ფინანსურ და ეკონომიკურ დედაქალაქს, არამედ პოლიტიკურ და სულიერ ცენტრსაც. ბევრს სურს ისარგებლოს თქვენი ვიზიტის ისტორიული შესაძლებლობით, რათა დაამყაროს პირდაპირი დიალოგი და ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. შეიქმნა ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის კლიმატი, რომელიც მომავალში უდავოდ გამოიღებს ნაყოფს. მადლობა თქვენდა, ბატონო პრეზიდენტო, რომ ჩამობრძანდით მილანში მას შემდეგ, რაც დაამთავრეთ ოფიციალური ვიზიტი იტალიაში, შეხვდით რომის პაპს და პირველად უნდა შეხვდეთ პრეზიდენტ ბუშს ხმელთაშუა ზღვაში, რომელიც ესოდენ ახლობელია ჩვენთვის.

ბატონო პრეზიდენტო, ამ საუკუნემ ორი მსოფლიო ომი გადაიტანა. ჩვენ ვიწვნიეთ „ცივი ომის" საშინელება. და იმიტომ არის, რომ მთელი არსებით ვესწრაფვით მშვიდობას, მშვიდობიან თანამშრომლობას — კაცობრიობის უძვირფასეს მონაპოვარს.

ადამიანთა უდიდესი მასები აიმოძრავდნენ ვარშავაში, პრაღაში, ბუდაპეშტში, აღმოსავლეთ ბერლინში, სოფიაში, მათ დასაბამი მისცეს ღრმა დემოკრატიულ ცვლილებებს, რომლებიც, ვიმედოვნებთ, შეუქცევადია. ეს არის გონიერებისა და თავისუფლების, დემოკრატიული უფლებების გამარჯვება. მაგრამ ეს არის იმ უდიდესი გავლენის შედეგიც, რომელსაც თქვენ, ბატონო გორბაჩოვ, ახდენდით და ახდენთ თავისუფლების სასიკეთოდ.

საპასუხო სიტყვაში მ. ს. გორბაჩოვმა თქვა:

პატივცემულო მილანელებო, ძვირფასო მეგობრებო! მილანის ქუჩებში მართლაც რომ განსაცვიფრებელი ატმოსფეროა. მეც და დელეგაციის წევრი ყველა ჩემი ამხანაგი ძალზე კმაყოფილი ვართ საბჭოთა კავშირის, საბჭოთა ხალხისა და იმ საქმეებისადმი მეგობრული გრძნობების ამ გამოვლინებით, რომლებსაც იგი ახლა წყვეტს. ჩვენ შევუდექით გარდაქმნას იმიტომ, რომ უწინარეს ყოვლისა იგი ჩვენ გვჭირდება. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი გარდაქმნა სჭირდება ყველას, ვინც ფიქრობს უკეთეს მსოფლიოზე, თანამშრომლობაზე, ყოველი ჩვენგანისათვის ბედნიერ მომავალზე. როდესაც აქ, მერიაში მოვდიოდით, თვალი მოვკარი ერთ ლოზუნგს, სადაც, კერძოდ, იყო სიტყვები, რომ 1989 წელი — ეს არის რუსი ხალხის წელი. მე ისე მესმის, რომ ამით მილანელებს სურდათ გამოეხატათ, რომ ისინი სოლიდარობენ ჩვენს საქმეს ქვეყნის განსაახლებლად. მადლობას ვუძღვნი ყველა მილანელს ამ სოლიდარობისათვის.

ჩვენ ახლა გვიჭირს. ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ჩვენს ხალხებს თავიანთ ისტორიაში არასდროს არ უკეთებიათ. ახლა ჩვენ უკეთ გვესმის, რა გვინდა და როგორ მივაღწიოთ ამას. ჩვენ გვეკითხებიან, რით დაგეხმაროთო. ჩვენ გვინდა, რომ ესმოდეთ ჩვენი. ეს არის მთავარი. ჩვენს გარდაქმნას ჩვენ თვითონ უნდა შევასხათ ხორცი, ჩვენი გონებით, გულითა და მარჯვენით. ჩვენ ახლა დარწმუნებული ვართ, რომ ეს ხელგვეწიფება. ნება მიბოძეთ, აღგითქვათ, რომ ჩვენი უდიდესი ქვეყნის ხალხები ყველაფერს იღონებენ, რათა გააკეთილშობილონ თავიანთი ქვეყანა, დაამყარონ თანამშრომლობა ყველა სხვა ხალხთან, ექონიონ მათთან ცოცხალი ურთიერთობა, რათა მედგრად დაიცვან მშვიდობის საქმე, ჩვენი საერთო ბედნიერი მომავალი. თქვენი ქვეყნის მთავრობის მეთაურის ბატონ ანდრეოტისა და მისი მეუღლის, იტალიის მთავრობის სხვა წევრების თანდასწრებით მინდა გაცნობოთ, რომ ჩვენ კარგად გავისარჯენით ამ დღეებში იტალიის მიწაწყალზე, რომში. ჩვენ მოგველის სასიკეთო ერთობლივი საქმენი როგორც პოლიტიკურ ურთიერთობათა დარგში, ისე ეკონომიკურ და კულტურულ თანამშრომლობაში.

მოხარული ვართ, რომ ასე ვითარდება ჩვენი ურთიერთობა. ჩვენი ხალხების მეგობრობას საუკუნეთა სიღრმეში აქვს გადგმული ფესვი. მთავარია, ამ მეგობრობის ხემ კარგად იხაროს და უხვად მოისხას ნაყოფი. ეს ჩვენი საერთო საქმეა. და ის, რაც ვიზიტის დღეებში გაკეთდა, გვპირდება, რომ ჩვენი თანამშრომლობა კარგ ნაყოფს გამოიღებს. იტალიელებმა უნდა იცოდნენ, რომ საბჭოთა კავშირში მათ საიმედო მეგობრები და პარტნიორები ჰყავთ. მადლობას მოგახსენებთ ამ შესანიშნავი შეხვედრისათვის.

შემდეგ გაიმართა საბჭოთა ხელმძღვანელის შეხვედრა იტალიის საქმიანი და საფინანსო წრეების წარმომადგენლებთან.

(**დასასრული მე-2 გვ.**).



სტუმრად რომის პაპთან.

საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების იჯარის კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების იჯარის კანონმდებლობის საფუძვლები 1990 წლის 1 იანვრიდან.

2. რჩევა მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმებს უზრუნველყონ, რომ მიღებულ იქნეს საკანონმდებლო აქტები იჯარის შესახებ ეროვნული, რეგიონული და სხვა თავისებურებების გათვალისწინებით 1990 წლის 1 იანვრამდე.

3. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს:

დაამტკიცოს 1990 წლის 1 იანვრამდე დროებითი დებულება საიჯარო საწარმოების საბიუჯეტო გადასახდელთა შესახებ;

1990 წლის 1 თებერვლამდე წარმოუდგინოს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს პროექტი საკანონმდებლო აქტისა საიჯარო საწარმოთა გადასახადით დაბეგვრის შესახებ;

დაადგინოს 1990 წლის 1 იანვრამდე საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა (გაერთიანებათა) სახეობანი (ჯგუფები), და ქონების სახეობანი, რომელთა იჯარით გადაცემა არ დაიშვება, აგრეთვე გაითვალისწინოს გაიჯარებული ქონების გამოსყიდვის შეზღუდვის ან აკრძალვის შემთხვევები;

შეუსატყვისოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი იჯარის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლებს 1990 წლის 1 იანვრამდე.

უზრუნველყოს, რომ სსრ კავშირის სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა გადასინჯონ და გააუქმონ მათი ნორმატიული აქტები, კერძოდ, ინსტრუქციები, რომლებიც აღნიშნულ საფუძვლებს ეწინააღმდეგება, 1990 წლის 1 იანვრამდე.

4. 1990 წლის 1 იანვრიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 7 აპრილის ბრძანებულება „სსრ კავშირში იჯარისა და იჯარითი ურთიერთობის შესახებ", მე-18 მუხლის გარდა (სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს უწყებანი, 1989 წ., № 15, მუხ. 105);

სსრ კავშირის 1989 წლის 31 ივლისის კანონი „სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ" (სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს უწყებანი, 1989 წ., № 9, მუხ. 202) აღნიშნული ბრძანებულების დამტკიცებისა და შეცვლის ნაწილში (ამ ბრძანებულების მე-18 მუხლის გარდა).

5. ამ საფუძვლების სამოქმედოდ შემოღებამდე იჯარით ურთიერთობაზე გადასულ მოიჯარეებს უფლება აქვთ აწარმოონ თავიანთი სამეურნეო საქმიანობა 1990 წლის 31 დეკემბრამდე დადებულ იჯარის ხელშეკრულებათა შესაბამისად.

6. „სსრ კავშირში საკუთრების შესახებ" სსრ კავშირის კანონის მიღებამდე და სამოქმედოდ შემოღებამდე სახელმწიფო საწარმოების (გაერთიანებების), ორგანიზაციების, გაერთიანებათა სტრუქტურული ერთეულების იჯარით გადაცემის ხელშეკრულებებს სდებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები.

7. დაევალოთ სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალურ, რესპუბლიკურ და ადგილობრივ აღმასრულებელ ორგანოებს ყოველნაირად შეუწყონ ხელი სახელმწიფო საწარმოთა იჯარაზე გადაყვანას. მიიღონ ყველა ღონისძიება, რათა განმარტონ საიჯარო მეურნეობრიობის უპირატესობანი, მოამზადონ და ფართოდ გაავრცელონ იგი 1990 წელს.

8. დაევალოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უზრუნველყონ იჯარაზე გადასვლის გამო საწარმოებიდან (ორგანიზაციებიდან) გამოთავისუფლებულ მუშაკთა სრული დასაქმება. ორგანიზაცია გაუწიონ საჭიროების შემთხვევაში მათს გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
მ. გორბაჩოვი,

მოსკოვი, კრემლი. **1989 წლის 28 ნოემბერი.**

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების

იჯარის კანონმდებლობის საფუძვლები

კარი I. იჯარა

ზოგადი დებულებანი იჯარის შესახებ

მუხლი 1. იჯარა

იჯარა წარმოადგენს ხელშეკრულებაზე დაფუძნებულ მიწის, სხვა ბუნებრივი რესურსების, საწარმოების (გაერთიანებების) და სხვა ქონებრივი კომპლექსების, აგრეთვე სხვა იმ ქონების ვადიან მისაგებლიან მფლობელობასა და გამოყენებას, რომელიც მოიჯარეს სჭირდება სამეურნეო ან სხვაგვარი საქმიანობის დამოუკიდებელი განხორციელებისათვის.

მუხლი 2. კანონმდებლობა იჯარის შესახებ

იჯარით ურთიერთობას არეგულირებს ეს საფუძვლები და მათს შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტები, ხოლო მათ მიერ გათვალისწინებულ შემთხვევებში, — აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებანი.

მუხლი 3. იჯარის სფერო და ობიექტები

იჯარა დაიშვება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყველა ფორმის ქონებისა და ყველა სახეობის საკუთრების მიმართ.

იჯარით შეიძლება გადაიცეს:

ა) მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები;

ბ) საწარმოები (გაერთიანებები), ორგანიზაციები, გაერთიანებათა სტრუქტურული ერთეულები, წარმოებანი, საამქროები, საწარმოთა, ორგანიზაციათა სხვა ქვეგანაყოფები როგორც საწარმოო ფონდებისა და სხვა ფასეულობების ერთიანი ქონებრივი კომპლექსები;

გ) ცალკეული შენობა-ნაგებობანი, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, ინვენტარი, ინსტრუმენტი, სხვა მატერიალური ფასეულობანი.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დაწესებულია საწარმოთა (გაერთიანებათა), ორგანიზაციათა სახეობანი (ჯგუფები) და ქონების სახეობანი, რომელთა იჯარით გადაცემა არ დაიშვება.

მუხლი 4. მეიჯარეები

ქონების იჯარით გადაცემის უფლება ეკუთვნის მესაკუთრეს, მათ შორის, უცხოელ იურიდიულ პირებსა და მოქალაქეებს. მეიჯარეები შეიძლება იყვნენ აგრეთვე ორგანოები და ორგანიზაციები, რომლებიც მესაკუთრისაგან არიან უფლებამოსილნი გააიჯარონ ქონება. სახელმწიფო საწარმოებს, ორგანიზაციებს უფლება აქვთ იჯარით გადასცენ ქონებრივი კომპლექსები, ცალკეული შენობა-ნაგებობანი, მოწყობილობა და სხვა მატერიალური ფასეულობანი, რომლებიც მათს სრულ სამეურნეო განმგებლობაში ან ოპერატიულ მმართველობაშია. მიწას იჯარით გადასცემენ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოები.

მუხლი 5. მოიჯარეები

მოიჯარეები შეიძლება იყვნენ საბჭოთა იურიდიული პირნი და სსრ კავშირის მოქალაქენი, ერთობლივი საწარმოები, საერთაშორისო გაერთიანებანი და ორგანიზაციები საბჭოთა და უცხოელ იურიდიული პირების მონაწილეობით, აგრეთვე უცხოეთის სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები, უცხოელი იურიდიული პირნი და მოქალაქენი.

მუხლი 6. მოიჯარეთა გაერთიანებანი

მოიჯარეებს უფლება აქვთ ნებაყოფლობით საწყისებზე შექმნან ასოციაციები, კავშირები, კონსორციუმები, კონცერნები და სხვა გაერთიანებანი, დააფინანსონ მათი საქმიანობა და თავისუფლად გავიდნენ ამ გაერთიანებებიდან მიღებულ წესდებათა თანახმად. ამ გაერთიანებებში შეიძლება შედიოდნენ ნებისმიერი კოლექტივები და მოქალაქენი, მათს წარმოებაში მოქმედი საკუთრების ფორმების მიუხედავად. თავის მხრივ, მოიჯარეებს უფლება აქვთ შედიოდნენ ნებისმიერ გაერთიანებაში, თუ ეს უკანასკნელნი თანახმანი არიან ასეთ შესვლაზე.

(**დასასრული მე-2 გვ.**).

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილება

ავღანეთში საბჭოთა ჯარების კონტინგენტის დანაშაულის ჩამდენ ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა ამნისტიის შესახებ

ხელმძღვანელობს რა ჰუმანიზმის პრინციპებით, სსრ კავშირის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. განთავისუფლდნენ ყოფილი სამხედრო მოსამსახურენი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან იმ დანაშაულობებისათვის, რაც ჩაიდინეს ავღანეთში (1979 წლის დეკემბერ-1989 წლის თებერვალი) სამხედრო სამსახურის გავლის დროს.

2. განთავისუფლდნენ სასჯელის მოხდისაგან ის პირნი, რომლებსაც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოებმა მსჯავრი დაადეს ავღანეთში სამხედრო სამსახურის გავლის დროს ჩადენილი დანაშაულობებისათვის.

3. მოეხსნათ ნასამართლობა ამ ამნისტიის საფუძველზე სასჯელისაგან განთავისუფლებულ პირებს, აგრეთვე პირებს, რომლებმაც მოიხადეს სასჯელი ავღანეთში სამხედრო სამსახურის გავლის დროს ჩადენილი დანაშაულობებისათვის.

4. დაევალოს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს ათი დღის ვადაში დაამტკიცოს ამნისტიის შესრულების წესი.

5. ეს დადგენილება ძალამოსილია 1989 წლის 15 დეკემბრიდან.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. **1989 წლის 28 ნოემბერი.**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უზენაესი საბჭოს

მიმართვა

ხელმძღვანელობს რა ჰუმანიზმის პრინციპებით, სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება ავღანეთში საბჭოთა ჯარების კონტინგენტის დანაშაულის ჩამდენ ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა ამნისტიის შესახებ.

ამნისტია ადასტურებს, რომ ავღანეთში დატყვევებულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ არც ერთ საბჭოთა მოსამსახურეს, სამშობლოში დაბრუნებულს, არ შეელახება არავითარი უფლება, შეეძლებათ სრულად ისარგებლონ სსრ კავშირის კონსტიტუციით გათვალისწინებული სამოქალაქო უფლებებით.

საბჭოთა სახელმწიფო ჰუმანიზმის უმაღლესი მოსაზრებებით ხელმძღვანელობს და იჩენს სულგრძელობასა და გულმოწყალებას.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უზენაესი საბჭო მიმართავს ყველა ხალხს, პარლამენტსა და მთავრობას, საზღვარგარეთის ქვეყნების საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ყველა კეთილი ნების ადამიანს და მოუწოდებს ყოველნაირად შეუწყონ ხელი სამშობლოში დასაბრუნებლად ავღანეთში საბჭოთა ჯარების კონტინგენტის ყოფილ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც ავღანეთის შეიარაღებული ოპოზიციის ტყვეობაში აღმოჩნდნენ და იმყოფებიან მის შემადგენლობაში ან სხვა ქვეყნებში.

ამნისტიის მიღებით სსრ კავშირის უზენაესი საბჭო ამტკიცებს, რომ იგი ახლებური პოლიტიკური აზროვნების, საკაცობრიო ღირებულებების, სიკეთისა და სამართლიანობის ერთგულია.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო.

მოსკოვი, კრემლი. 1989 წლის 28 ნოემბერი.

მოსკოვში მომავალი შეხვედრის შესახებ

მიღწეული მორიგების შესაბამისად, 1989 წლის დეკემბრის დამდეგს მოსკოვში გაიმართება ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ხელმძღვანელების შეხვედრა, რომლის დროს მ. ს. გორბაჩოვი მოკავშირე ქვეყნების წარმომადგენლებს გააცნობს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ჯ. ბუშთან მოლაპარაკების შედეგებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო მწუხარებით იუწყებიან, რომ 76 წლისა გარდაიცვალა სკკპ წევრი, თვალსაჩინო საბჭოთა მწერალი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

გიორგი დიმიტრის ძე გულია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების იჯარის კანონმდებლობის საფუძვლები

(დასასრული)

მუხლი 7. იჯარის ხელშეკრულება

1. ძირითად დოკუმენტს, რომელიც მეიჯარისა და მოიჯარის ურთიერთობას არეგლამენტებს, წარმოადგენს იჯარის ხელშეკრულება. იგი იდება ნებაყოფლობისა და მხარეთა სრული თანასწორუფლებიანობის საწყისებით.

2. იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია: იჯარით გადასაცემი ქონების შემადგენლობა და ღირებულება, იჯარის ქირის ოდენობა, იჯარის ვადები, იჯარით აღებული ქონების სრული აღდგენისა და შეკეთებისათვის მხარეთა მოვალეობების განაწილება, მეიჯარის მოვალეობა გადასცეს მოიჯარეს ქონება ხელშეკრულების პირობების შესაფერის მდგომარეობაში, მოიჯარის მოვალეობა გამოიყენოს ქონება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად — შეიტანოს იჯარის ქირა და დაუბრუნოს ქონება ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ მეიჯარეს ხელშეკრულებით დათქმულ მდგომარეობაში.

3. იჯარის ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მეიჯარის მოვალეობანი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, წარმოების განვითარების ხელშეწყობის, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის, წარმოების ტექნიკური განახლების, სოციალური განვითარების, საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვაგვარი დახმარების გაწევის, კადრების მომზადების ხელშეწყობის, იჯარით აღებული ქონების ეფექტიანი გამოყენებისა და მისი ჯეროვანი მდგომარეობის უზრუნველყოფის საჭირო პირობების შესაქმნელად.

4. იჯარით აღებული ქონების ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულებით ფაქტობრივი ცვეთის გათვალისწინებით მისი იჯარით გადაცემის მომენტისათვის ამ ქონების შეფასებიდან გამომდინარე. იჯარით გადასაცემი ქონების მომავალი სამსახურის ვადა დგინდება მხარეთა შეთანხმებით, მაგრამ არა უმეტეს ამორტიზაციის მოქმედი ნორმების შესაბამისი ახალი სრული სამორტიზაციო ვადისა.

5. მეიჯარის თანხმობით მოიჯარეს უფლება აქვს ქვეიჯარით გადასცეს ხელშეკრულებით მიღებული ქონება იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტებით.

6. იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულებისათვის, მათ შორის, ხელშეკრულების ცალმხრივი წესით შეცვლის და მოშლისათვის მხარეებს აკისრიათ პასუხისმგებლობა, რომელიც დადგენილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით და ხელშეკრულებით.

თუ სახელმწიფო ორგანოს, რომელმაც იჯარით გასცა სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის) ქონება, არ გააჩნია საკმარისი სახსრები, მოიჯარის წინაშე ამ ორგანოს ვალდებულებათა მიხედვით პასუხისმგებლობა აკისრია შესაბამისი ქონების მესაკუთრეს.

მუხლი 8. იჯარის ქირა

1. იჯარის ქირა შეიცავს იჯარით აღებული ქონების ღირებულების სამორტიზაციო ანარიცხებს. მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების იჯარით აღებისას სამორტიზაციო ანარიცხები არ წარმოებს. იჯარის ქირაში შესატანი სამორტიზაციო ანარიცხების ოდენობა განისაზღვრება იჯარის ხელშეკრულებაში იჯარით გადაცემული ქონების კვლავწარმოებისათვის მხარეთა მოვალეობების განაწილებიდან გამომდინარე, რომელიც ხელშეკრულებით არის დადგენილი. იჯარის ქირა შეიძლება აგრეთვე შეიცავდეს სახსრებს, რომლებსაც მოიჯარე გადასცემს მეიჯარეს ობიექტების შესაკეთებლად მათი იჯარის ვადის გასვლის შემდეგ. იჯარის ქირა შეიცავს მოგების (შემოსავლის) ნაწილს, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს იჯარით აღებული ქონების საზოგადოებრივ საჭირო გამოყენებისაგან (საიჯარო პროცენტი), რომელიც ხელშეკრულებით დგინდება, როგორც წესი, არანაკლებ საბანკო პროცენტის დონეზე.

2. იჯარის ქირა შეიძლება დაწესდეს მთელ დაიჯარებულ ქონებაზე ერთობლივად ან ცალ-ცალკე თითოეული ობიექტის მიხედვით ნატურალური, ფულადი ან შერეული ფორმებით. იჯარის ქირის გადარიცხვის პირობები, შეტანის ვადები და ანგარიში განისაზღვრება ხელშეკრულებით.

3. იჯარის ქირის ოდენობა შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, მაგრამ სულ დიდი ხუთ წელიწადში ერთხელ. ისინი შეიძლება ვადამდე გადაისინჯოს ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით იმ შემთხვევებში, თუ შეიცვლება ცენტრალიზებულად დადგენილი ფასები და ტარიფები, აგრეთვე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. საკუთრება იჯარის დროს

1. ქონების იჯარით გადაცემა არ იწვევს ამ ქონების საკუთრების უფლების გადაცემას.

პროდუქცია და შემოსავალი, რომელსაც მოიჯარე იღებს იჯარით აღებული ქონების გამოყენების შედეგად, მისი საკუთრებაა. მოიჯარის საკუთრებაა აგრეთვე მის მიერ კანონით გათვალისწინებულ საფუძვლებზე მიღებული და შეძენილი მატერიალური და სხვა ფასეულობანი, რომლებიც არ შედის იჯარით აღებული ქონების შემადგენლობაში.

2. თუ იჯარის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მოიჯარის საკუთრებას წარმოადგენს მის მიერ წარმოებული დაიჯარებული ქონების გამოსაყოფი გაუმჯობესებანი. იმ შემთხვევაში, როდესაც მოიჯარემ საკუთარი სახსრების ხარჯზე და მეიჯარის ნებართვით აწარმოვა გაუმჯობესებანი, რომელთა გამოყოფა ვერ მოხერხდება იჯარით აღებული ქონების უვნებლად (შენობის ან ნაგებობის რეკონსტრუქცია, მოწყობილობის გამოცვლა და ა. შ.), მას უფლება აქვს იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ აინაზღაუროს ამ გაუმჯობესებათა ღირებულება, რამდენადაც სხვა რამ არ ყოფილა გათვალისწინებული ხელშეკრულებით. განუყოფელ გაუმჯობესებათა ღირებულება, რომლებიც მოიჯარემ აწარმოვა მეიჯარის დაუკითხავად, ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

საწარმოს და სხვა ერთიანი ქონებრივი კომპლექსების იჯარით აღებისას მოიჯარეს უფლება აქვს აინაზღაუროს იჯარით აღებული ქონების განუყოფელი გაუმჯობესებანი, რომლებიც მან აწარმოვა საკუთარი სახსრების ხარჯზე, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა მეიჯარის ნებართვა ასე გაუმჯობესებაზე, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით.

3. იჯარით აღებული ქონების საამორტიზაციო ანარიცხების ხარჯზე წარმოებული გაუმჯობესებანი (როგორც გამოსაყოფი, ისე განუყოფელი) წარმოადგენს მეიჯარის საკუთრებას და ზრდის იჯარით გადაცემული ქონების ნარჩენ ღირებულებას.

4. თუ ხელშეკრულების დასრულებისას დასაბრუნებელი ქონების მდგომარეობა გათვალისწინებულზე უარესია, მოიჯარე უნაზღაურებს მეიჯარეს მიყენებულ ზარალს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. თუ იჯარით გადაცემული ქონება მწყობრიდან გამოვა სამსახურის სრული სამორტიზაციო ვადის გასვლამდე, მაშინ მოიჯარე უნაზღაურებს მეიჯარეს მის მიერ უკმარშეტანილ საიჯარო ქირას, აგრეთვე სხვა ზარალს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. თუ მოიჯარე უზრუნველყოფს იჯარით აღებული ქონების გამოყენებას ხელშეკრულებით დათქმული სამსახურის ვადის გასვლამდე, მეიჯარე უხდის მოიჯარეს შესაბამის კომპენსაციას, რამდენადაც სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით.

მუხლი 10. იჯარით აღებული ქონების გამოსყიდვა

1. მოიჯარეს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გამოისყიდოს იჯარით აღებული ქონება. გამოსყიდვის პირობები, წესი და ვადები განისაზღვრება იჯარის ხელშეკრულებით. ამ საკითხებზე წამოჭრილ დავას წყვეტენ სახელმწიფო არბიტრაჟი ან სასამართლო.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს იჯარით აღებული ქონების გამოსყიდვის შეზღუდვის ან აკრძალვის შემთხვევები.

2. გამოსყიდვა ხორციელდება შემდეგი გზით: მოიჯარეს შეაქვს მეიჯარის სახელზე მისი კუთვნილი მთელი იჯარის ქირა სრული სამორტიზაციო ვადით ჩაბარებული ქონების ღირებულებიდან, აგრეთვე უნაზღაურებს მას საიჯარო გადასახდელებს იმ ქონების ნარჩენი ღირებულებიდან, რომლის იჯარა ხელშეკრულების თანახმად შეწყვეტილია სამორტიზაციო ვადის გასვლამდე. გამოსყიდვის წყაროები შეიძლება იყოს ნებისმიერი სახსრები, რომლებიც საიჯარო საწარმოს აქვს კანონმდებლობის შესაბამისად.

იჯარით აღებული ქონების გამოსყიდვის შემდეგ საიჯარო საწარმო მისი შრომითი კოლექტივის გადაწყვეტილებით შეიძლება გარდაიქმნას კოლექტიურ საწარმოდ, კოოპერატივად, სააქციო საზოგადოებად ან სხვა სახის საწარმოდ, რომელიც კოლექტიური საკუთრების საფუძველზე მოქმედებს.

სახელმწიფო საწარმოს ქონების გამოსყიდვით მიღებული სახსრები გადაირიცხება შესაბამის ბიუჯეტში.

მუხლი 11. მოიჯარის სამეურნეო საქმიანობის მიმართულებათა განსაზღვრა

მოიჯარე იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავისი დამოუკიდებელი საქმიანობის მიმართულებებს და განკარგავს მის მიერ წარმოებულ პროდუქციასა და მიღებულ შემოსავალს.

იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ფარგლებს გარეთ მოიჯარე სრულიად თავისუფალია თავის სამეურნეო საქმიანობაში.

მუხლი 12. იჯარის ვადები

იჯარის ვადები ხელშეკრულებით განისაზღვრება. ამასთან მიწის, სხვა ბუნებრივი რესურსების, საწარმოების, შენობა-ნაგებობების იჯარა უნდა ატარებდეს, როგორც წესი, გრძელვადიან ხასიათს — 5 წლიდან და უფრო ხანგრძლივი ვადით. ქონების ხასიათისა და იჯარის მიზნების გათვალისწინებით ხელშეკრულება შეიძლება იყოს მოკლევადიანი — 5 წლამდე ვადით.

მუხლი 13. ხელშეკრულების შეცვლა, მოშლა, შეწყვეტა და გაგრძელება

1. იჯარის ხელშეკრულების პირობების შეცვლა, მისი მოშლა და შეწყვეტა დაიშვება მხარეთა შეთანხმებით. ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით იჯარის ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს სახელმწიფო არბიტრაჟის ან სასამართლოს გადაწყვეტილებით იმ შემთხვევებში, თუ მეორე მხარე დაარღვევს ხელშეკრულების პირობებს.

2. მეიჯარე ორგანიზაციის რეორგანიზაცია, აგრეთვე იჯარით აღებული ქონების მესაკუთრის გამოცვლა არ არის ხელშეკრულების პირობების შეცვლის ან მოშლის საფუძველი.

3. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მოიჯარეს უფლება აქვს განაახლოს ხელშეკრულება.

4. თუ არც ერთ მხარეს არ შეუტანია განცხადება ხელშეკრულების შეწყვეტის ან შეცვლის შესახებ, ვადის გასვლის შემდეგ იგი გაგრძელებულად ითვლება იმავე ვადით და იმავე პირობებით, რომლებიც გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებით. ახალი ვადით ხელშეკრულების გაგრძელების შემთხვევაში მისი პირობები შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

5. მოიჯარე-მოქალაქესთან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში იჯარის ხელშეკრულების დადების უპირატესი უფლება აქვს მისი ოჯახის წევრებს, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ.

მოიჯარის სიკვდილის შემთხვევაში მისი უფლებები იჯარის ხელშეკრულების მიხედვით გადადის მასთან ერთად მცხოვრებ და მომუშავე ოჯახის წევრთაგან ერთ-ერთზე, თუ იგი თანახმაა გახდეს მოიჯარე.

მეიჯარეს არა აქვს უფლება უარი უთხრას ასეთ პირს ხელშეკრულებაში შესვლაზე მოქმედი ხელშეკრულებით დარჩენილ ვადაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხელშეკრულების დადება განპირობებული იყო მოიჯარის პირადი თვისებებით.

მუხლი 14. დავის განხილვა იჯარის ხელშეკრულების შესრულების დროს

იჯარის ხელშეკრულების შესრულების დროს წარმოქმნილ დავას განიხილავენ სახელმწიფო არბიტრაჟი ან სასამართლო მათი კომპეტენციის შესაბამისად.

მუხლი 15. მოიჯარის ქონებრივ უფლებათა დაცვა

1. მოიჯარისათვის უზრუნველყოფილია ქონებაზე მისი უფლების დაცვა, რომელიც მიღებული აქვს იჯარის ხელშეკრულებით, საკუთრების უფლების მიმართ სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი დაცვის თანაბრად. მას შეუძლია მოითხოვოს ნებისმიერი უკანონო მფლობელობიდან იჯარით აღებული ქონების დაბრუნება, დაბრკოლებათა აღმოფხვრა ამ ქონებით სარგებლობაში, იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მიაყენა ქონებას ყველა პირმა. მათ შორის მეიჯარემ.

2. იჯარით აღებულ ქონებაზე მეიჯარის ვალების გადახდევინების მიქცევა არ დაიშვება.

3. მოიჯარის ქონება შეიძლება ჩამოერთვას მოიჯარეს მხოლოდ სახელმწიფო არბიტრაჟის ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.

4. იჯარის ხელშეკრულების პირობები ინარჩუნებს თავის ძალას ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში და იმ შემთხვევებში, როცა მისი დადების შემდეგ კანონმდებლობით დგინდება წესები, რომლებიც აუარესებს მოიჯარის მდგომარეობას.

საწარმოთა (გაერთიანებათა) იჯარა

მუხლი 16. საიჯარო საწარმოს შექმნა

1. სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) ან გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის (შემდგომ სახელმწიფო საწარმოს) შრომითს კოლექტივს უფლება აქვს შექმნას მოიჯარეთა ორგანიზაცია როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირი მის საფუძველზე საიჯარო საწარმოს შესაქმნელად.

გადაწყვეტილებას მოიჯარეთა ორგანიზაციისა და მისი მმართველობის ორგანოების შექმნის შესახებ იღებს შრომითი კოლექტივის საერთო კრება (კონფერენცია) მისი წევრების ხმების სულ ცოტა ორი მესამედით.

მოიჯარეთა ორგანიზაცია პროფკავშირულ კომიტეტთან ერთად ამუშავებს იჯარის ხელშეკრულების პროექტს და უგზავნის მას სახელმწიფო ორგანოს, რომელიც მესაკუთრისაგან უფლებამოსილია იჯარით გადასცეს სახელმწიფო საწარმოები. ეს ორგანო ვალდებულია განიხილოს ხელშეკრულების პროექტი მისი მიღებიდან ოცდაათი დღის ვადაში. იჯარის ხელშეკრულების დადების დროს წარმოქმნილ უთანხმოებებს, მათ შორის იმათ, რომლებიც უკავშირდება ამ საწარმოს იჯარით გადაცემაზე დაუსაბუთებელ უარის თქმას და წინადადების განხილვის ვადის გასვლას, განიხილავს სახელმწიფო არბიტრაჟი.

ხელშეკრულების დადების შემდეგ მოიჯარეთა ორგანიზაცია იღებს დადგენილი წესით საწარმოს ქონებას და იძენს საიჯარო საწარმოს სტატუსს.

2. საიჯარო საწარმო მოქმედებს იმ წესდების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს მისი შრომითი კოლექტივის საერთო კრება (კონფერენცია). საიჯარო საწარმო იძენს იურიდიული პირის უფლებას საიჯარო საწარმოს ადგილმდებარეობის მიხედვით სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში მისი სახელმწიფო რეგისტრაციის დღიდან.

3. საიჯარო საწარმოს მისი შუამდგომლობით შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებით შეიძლება შეუნარჩუნდეს იმ სახელმწიფო საწარმოს სახელწოდება და მთავრობის ჯილდოები, რომელიც მან იჯარით აიღო.

4. საიჯარო საწარმო ხდება იჯარით აღებული სახელმწიფო საწარმოს ქონებრივ უფლებათა და მოვალეობათა უფლებამონაცვლე, მათ შორის მიწითა და სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მისი უფლებების მონაცვლე. მეიჯარემ შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ იკისროს საწარმოს კრედიტორული დავალიანების გადახდა.

ამ საწარმოს ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მოცულობითა და ვადებით პროდუქციის (სამუშაოთა, მომსახურების) რეალიზაციისათვის სახელმწიფო საწარმოს ვალდებულებებს ასრულებს მოიჯარე. მეიჯარე გადასცემს მოიჯარეს მატერიალურ რესურსებს ან მათს ლიმიტებს (ფონდებს), აგრეთვე ახორციელებს სხვა საჭირო ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფს ამ ვალდებულებათა შესრულებას.

საიჯარო საწარმო ინარჩუნებს იჯარით აღებული სახელმწიფო საწარმოსათვის დადგენილი მოცულობით ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებისა და დოტაციის უფლებას.

საიჯარო საწარმოს გადაეცემა იჯარით აღებული სახელმწიფო საწარმოს უფლება-მოვალეობანი მონაწილეობდეს იმ ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, რომელზეც იგი მდებარეობს.

იჯარის ხელშეკრულება განსაზღვრავს მოიჯარესა და მეიჯარეს შორის ურთიერთობას სათბობის, ნედლეულის, მასალების მარაგის გამოყენების, დაუმთავრებელი წარმოების, მზა ნაწარმის, ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ნაშთების განაწილების, საუწყებო საბინაო ფონდის გამოყენების, მისი დაფინანსების, დებიტორული დავალიანების დაფარვისას მიღებული სახსრების წარმართვის პირობების გამო.

5. არ დაიშვება საიჯარო საწარმოებისათვის ზედმეტი ობიექტების იძულებით გაიჯარება.

6. ყველა სოციალისტური საწარმოსათვის ეფექტიანი მეურნეობრიობის თანაბარი საწყისი წანამძღვრების შექმნის მიზნით სახელმწიფო ყოველი ღონისძიებით უწყობს ხელს იჯარითი ურთიერთობის განვითარებას და სახელმწიფო საწარმოების იჯარაზე გადასვლას.

მუხლი 17. საიჯარო საწარმოს მართვა

საიჯარო საწარმოს მართვა ხორციელდება მისი წესდების შესაბამისად სოციალისტური თვითმმართველობის პრინციპის, ფართო დემოკრატიის, საჯაროობის, მისი საქმიანობის ყველა საკითხის გადაწყვეტაში შრომითი კოლექტივის თითოეული წევრის მონაწილეობის საფუძველზე.

მუხლი 18. საიჯარო საწარმოს სამეურნეო საქმიანობა

1. საიჯარო საწარმო თავის საქმიანობას წარმართავს როგორც სოციალისტური საქონელმწარმოებელი. მას უფლება აქვს გაყიდოს, გაცვალოს, გააქვეიჯაროს, მისცეს უფასოდ დროებით სარგებლობისათვის ან სესხად იჯარით აღებული ქონების შემადგენლობაში შემავალი მატერიალური ფასეულობანი, თუ ქონების ასეთი გადაცემა არ იწვევს საწარმოს საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალის (ღირებულების) შემცირებას და არ არღვევს იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა პირობებს. იჯარით აღებული ქონების განკარგვის აღნიშნული წესი არ გამოიყენება მიწისა და სხვა ბუნებრივი ობიექტების მიმართ და საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

საიჯარო საწარმოს უფლება აქვს დამოუკიდებლად შეჰქონდეს ცვლილებანი იჯარით აღებული ქონების შემადგენლობაში, ახორციელებდეს რეკონსტრუქციას, გაფართოებას, ტექნიკურ განახლებას, რაც ადიდებს მის ღირებულებას, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით.

2. საიჯარო საწარმო უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებასა და კვლავწარმოებას და იყენებს მას იმ მიზნების შესაბამისად, რომლებისთვისაც გადაეცა ისინი. იგი ვალდებულია იცავდეს გარემოს გაჭუჭყიანებისა და სხვა მავნე ზემოქმედებისაგან.

3. საიჯარო საწარმოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა ხორციელდება სახელმწიფო საწარმოსათვის დადგენილი წესით.

4. საიჯარო საწარმო ვალდებულია იკისროს იჯარის ხელშეკრულებით სახელმწიფო შეკვეთისა და პროდუქციის (სამუშაოთა, მომსახურების) რეალიზაციის შეკვეთების შესრულება შექმნილი სამეურნეო ურთიერთობის პირობებში ისეთი მოცულობით, რომელიც არ აღემატება მისი დაიჯარების წლისათვის მიღებულ შესაბამის შეკვეთებს.

იმ ოდენობით, როგორითაც საწარმო იყენებს ქონებას, რომელიც მის კოლექტიურ საკუთრებას განეკუთვნება, იგი იღებს სახელმწიფო შეკვეთებს და ასრულებს ნებაყოფლობითი წესით პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სხვა ვალდებულებებს.

მეიჯარეს შეუძლია იკისროს ვალდებულება შეიძინოს მოიჯარისაგან მის მიერ წარმოებული პროდუქცია.

5. საიჯარო საწარმო რეალიზაცია ჰყოფს თავის პროდუქციას (სამუშაოებს, მომსახურებას) საბითუმო, შესასყიდი, საცალო, სახელშეკრულებო ფასებით, რომლებიც გათვალისწინებულია სახელმწიფო საწარმოებისათვის. ნედლეულს, მასალებსა და სხვა მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს საიჯარო საწარმო იძენს მოქმედი საბითუმო, შესასყიდი, საცალო, სახელშეკრულებო ფასებით სახელმწიფო საწარმოებისათვის დადგენილი წესით და პირობებით.

6. საიჯარო საწარმოს შეიძლება მიეცეს დოტაციები წარმოების გაფართოებისა და სოციალური ამოცანების გადაწყვეტისათვის სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებისა და მეიჯარის სახსრების ხარჯზე. აგრეთვე, კრედიტები და ავანსები პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) გამოშვების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების ვალდებულებებით.

ზარალიანი და მცირერენტაბელური სახელმწიფო საწარმოების მოიჯარეებს მეიჯარემ შეიძლება მიანიჭოს შეღავათები იჯარის ქირის მხრივ.

7. საიჯარო საწარმო ითვალისწინებს თავისი საქმიანობის შედეგებს, აწარმოებს საბუღალტრო და სტატისტიკურ ანგარიშგებას სახელმწიფოს მიერ კოოპერატივებისათვის დადგენილი წესით. საიჯარო საწარმოს საქმიანობის კონტროლი ხორციელდება ისეთივე წესით, როგორც კოოპერაციულისა, იჯარითი ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მუხლი 19. საიჯარო საწარმოს ფინანსები

1. საიჯარო საწარმოს ფინანსური რესურსები ყალიბდება პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციის ამონაგების, კრედიტების, ფასიანი ქაღალდების გაყიდვით მიღებული სახსრების, შეწირულობებისა და სხვა ფინანსური სახსრების ხარჯზე.

2. საიჯარო საწარმოს მიერ მიღებული ამონაგებით ნაზღაურდება მატერიალური და მასთან გათანაბრებული დანახარჯები, შრომის ანაზღაურების ხარჯები, შეაქვთ გადასახადი, იჯარის ქირა, სადაზღვევო გადასახდელი, ბუნებრივი და შრომითი რესურსების ქირა, ისტუმრებენ კრედიტის პროცენტებს. დარჩენილი მოგება მთლიანად გადადის საიჯარო საწარმოს განკარგულებაში: იგი დამოუკიდებლად განსაზღვრავს ამ მოგების გამოყენების მიმართულებებს.

3. საიჯარო საწარმოს შეუძლია დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზაციისათვის გამოუშვას ფასიანი ქაღალდები, განახორციელოს მიზნობრივი სესხი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, გავიდეს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე.

ფასიანი ქაღალდების შეძენის უპირატესი უფლება აქვთ საიჯარო საწარმოს შრომითი კოლექტივის წევრებს.

4. საიჯარო საწარმოს შეუძლია თავისი სახსრების ხარჯზე სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს მისცეს კრედიტი მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პირობებით, მათ შორის კრედიტით სარგებლობისათვის პროცენტის ოდენობის შესახებ მორიგებით.

5. საიჯარო საწარმოს ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა შეიძლება მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ მისი მითითებით ან სახელმწიფო არბიტრაჟის თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით. საიჯარო საწარმოს ანგარიშებიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა უდავო წესით დაშვებულია მხოლოდ საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. იმ შემთხვევაში, როცა საიჯარო საწარმო არ ეთანხმება ფულადი სახსრების უდავო ჩამოწერას, მას უფლება აქვს მიმართოს არბიტრაჟს სარჩელით დაუსაბუთებლად ჩამოწერილი სახსრების გადახდევინების შესახებ.

მუხლი 20. შრომა და მისი ანაზღაურება

1. საიჯარო საწარმოს შრომითი კოლექტივის წევრთა შრომითს ურთიერთობას არეგულირებს შრომის კანონმდებლობა ამ საფუძვლებით დადგენილ თავისებურებათა გათვალისწინებით.

2. საიჯარო საწარმო დამოუკიდებლად განსაზღვრავს მუშაკთა დაქირავებისა და დათხოვნის წესს, შრომის ანაზღაურების ფორმებსა და სისტემებს, სამუშაო დღის განრიგს, მუშაობის ცვლიანობას, იღებს გადაწყვეტილებას სამუშაო დროის შემაჯამებელი აღრიცხვის შემოღების შესახებ, ადგენს დასვენების დღეებისა და შვებულების მიცემის წესს.

საიჯარო საწარმო დამოუკიდებლად განსაზღვრავს ყოველწლიური ფასიანი შვებულებების ხანგრძლივობას. ამასთან მათი ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს იმაზე ნაკლები, ვიდრე დადგენილია სახელმწიფო საწარმოების შესაბამის კატეგორიათა მუშა-მოსამსახურეებისათვის.

3. სახელმწიფო უზრუნველყოფს საიჯარო საწარმოთა მშრომელების ინტერესების ყოველმხრივ სოციალურ დაცვას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სახელმწიფო საწარმოს გაიჯარებასთან დაკავშირებით გამოთავისუფლებულ მუშაკებს მეიჯარე და სახალხო დეპუტატთა შესაბამისი ადგილობრივი საბჭო გარანტიულად ანიჭებენ უფლებებს, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობით არის გათვალისწინებული სახელმწიფო საწარმოს რეორგანიზაციისა თუ ლიკვიდაციის დროს დათხოვილი მუშაკებისათვის.

4. საიჯარო საწარმოს სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდში შეაქვს თავისი შემოსავლის ანარიცხები იმ წესითა და ოდენობით, რომლებსაც ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

მუხლი 21. საიჯარო საწარმოს საკუთრება

1. საიჯარო საწარმოს საკუთრებაში შედის წარმოებული პროდუქცია. მიღებული შემოსავალი და ამ საწარმოს სახსრების ხარჯზე შეძენილი სხვა ქონება.

2. საიჯარო საწარმოს საკუთრებაში არსებულ ქონებაში მისი წესდებით გათვალისწინებული პირობებითა და წესით განისაზღვრება ამ ქონების შექმნაში მისი შრომითი კოლექტივის წევრთა წვლილის ოდენობა მათი პირადი შრომითი მონაწილეობის, აგრეთვე ფულადი და სხვა ქონებრივი შენატანის ხარჯზე.

3. საიჯარო საწარმოს ქონებაში შრომითი კოლექტივის წევრის წვლილის ღირებულების ოდენობით ამ წესდების შესაბამისად შეიძლება გაიცეს ფასიანი ქაღალდები.

შრომითი კოლექტივის წევრთა აღნიშნულ ფასიან ქაღალდებზე გაიცემა დივიდენდები წარმოების საბოლოო შედეგებისა და საწარმოს განვითარების ამოცანებიდან გამომდინარე, შრომითი კოლექტივის მიერ განსაზღვრული ოდენობით. ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულება მათს ხელთმქონეებს ეძლევათ საწარმოს წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საწარმოს წესდებით განსაზღვრულია შრომითი კოლექტივის იმ წევრებისათვის დივიდენდების გადახდის წესი და პირობები, რომლებმაც მასთან შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა.

მუხლი 22. საიჯარო საწარმოს შექმნა სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) ქვეგანაყოფის ქონების საფუძველზე

საიჯარო საწარმო შეიძლება შეიქმნას წარმოებების, საამქროების, განყოფილებების, ფერმებისა ან სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) სხვა ქვეგანაყოფების ქონების იჯარის საფუძველზე. ასეთი საიჯარო საწარმოს შექმნა წარმოებს შესაბამისი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) თანხმობით. ამასთან იჯარის ხელშეკრულება იდება სახელმწიფო საწარმოსთან (გაერთიანებასთან), რომლის ქონების ნაწილი იჯარით გაიცემა.

მუხლი 23. საწარმოების (გაერთიანებების) და მათი ქონებრივი კომპლექსების გაიჯარების კონკურსი

1. სახელმწიფო საწარმო (გაერთიანება) ან მისი ქვეგანაყოფები შეიძლება იჯარით გაიცეს კონკურსის წესით.

კონკურსს აცხადებს სახელმწიფო ორგანო, რომელსაც ეკუთვნის შესაბამისი ქონების იჯარით გაცემის უფლება.

2. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ სახელმწიფო საწარმოების (გაერთიანებების) ან მათი ქვეგანაყოფების შრომითს კოლექტივებს, შერეულ კოლექტივებს, რომლებშიც შედიან ამ საწარმოში, გაერთიანებაში (ქვეგანაყოფში) დაუსაქმებელი მუშაკები, კოლექტივებად გაერთიანებულ მოქალაქეთა ჯგუფებს შესაბამისი საწარმოს, გაერთიანების (ქვეგანაყოფის) დაიჯარების მიზნით. კონკურსში მონაწილეობისათვის აღნიშნული კოლექტივები ქმნიან მოიჯარეთა ორგანიზაციებს იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია ამ საფუძვლების მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტით. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ სხვა სახელმწიფო საწარმოებს (გაერთიანებებს), აგრეთვე კოოპერატივებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

3. სხვა თანაბარი პირობების დროს სახელმწიფო საწარმოს ან მისი ქვეგანაყოფის დაიჯარების უპირატესი უფლება აქვთ მათს შრომითს კოლექტივებს. მეიჯარე, რომელიც წარმოადგენს მის ორგანოებს, კონკურსზე შემოსული მოიჯარეების წინადადებათა განხილვის დროს უპირატესობას აძლევს იმათ, ვინც უზრუნველყოფს წარმოების უდიდეს ეფექტიანობას, იჯარით აიღებს შეთავაზებული ქონების უმეტეს ნაწილს, იკისრებს ვალდებულებას შეიტანოს გადიდებული საიჯარო პროცენტი.

კონკურსგავლილი მოიჯარეთა ორგანიზაცია მეიჯარეს უდებს იჯარის ხელშეკრულებას და მოქმედებს საიჯარო საწარმოს სახით იმ წესითა და პირობებით, რომლებიც გათვალისწინებულია ამ საფუძვლების მე-16-21-ე მუხლებით.

მუხლი 24. საზოგადოებრივი ორგანიზაციების კუთვნილი ქონების საფუძველზე საიჯარო საწარმოთა შექმნა.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უფლება აქვთ გააიჯარონ თავიანთი საწარმოები და მათი ქვეგანაყოფები ამ ორგანიზაციების მიერ განსაზღვრული პირობებით. ამასთან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ საიჯარო საწარმოთა შექმნის წესისა და საქმიანობის პირობების განსაზღვრისას გამოიყენონ ამ თავში დამკვიდრებული პრინციპები.

მუხლი 25. სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) ან მისი ქვეგანაყოფის დაიჯარება კოოპერატივის მიერ

სახელმწიფო საწარმოს ან მისი ქვეგანაყოფების კოოპერატივზე გაიჯარებისას იჯარითი ურთიერთობა მყარდება სახელმწიფო ორგანოსთან, რომელიც უფლებამოსილია იჯარით გასცეს საწარმო, ან შესაბამის სახელმწიფო საწარმოსთან. კოოპერატივთან ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება ამ საფუძვლების მე-16 და მე-18 მუხლების მე-4 პუნქტის შესაბამისად.

მოქალაქეების მიერ ქონების დაიჯარება

მუხლი 26. ინდივიდუალური ან ჯგუფური იჯარა.

1. მოქალაქეს ან მოქალაქეთა ჯგუფს შეუძლიათ იჯარით აიღონ წარმოების საშუალებები ან სხვა ქონება, რომლებიც სჭირდებათ მათ სამეურნეო საქმიანობის გაძღოლისათვის.

2. პირები, რომლებიც ეწევიან შრომით საქმიანობას ინდივიდუალური ან ჯგუფური იჯარის პირობებით, ექვემდებარებიან სოციალურ დაზღვევას და სოციალურ უზრუნველყოფას მუშა-მოსამსახურეთა თანაბრად. მოიჯარეებს სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდში თავიანთი შემოსავლის ანარიცხები შეაქვთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით. მოიჯარეთა მუშაობის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც იხდიან ისინი დაზღვევის შესატანს, შედის შრომითს სტაჟში.

მუხლი 27. სამეურნეო საქმიანობა ინდივიდუალური და ჯგუფური იჯარის დროს.

1. მოიჯარეები ინდივიდუალური ან ჯგუფური იჯარის დროს დამოუკიდებლად განკარგავენ წარმოებულ პროდუქციას და რეალიზაცია ჰყოფენ მას ქვეყნის ნებისმიერ რეგიონში, ასრულებენ სამუშაოებს და სწევენ მომსახურებას იმ ფასებითა და ტარიფებით, რომლებიც დადგენილია მომხმარებელთან მორიგებით ან დამოუკიდებლად. მათ შეუძლიათ ნებაყოფლობით იკისრონ სახელმწიფო შეკვეთის შესრულება და ამ შეკვეთის ანგარიშში წარმოებული პროდუქცია გაყიდონ საბითუმო, შესასყიდი ან სახელშეკრულებო ფასებით.

2. მოიჯარეს უფლება აქვს იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე მეიჯარესთან შეთანხმებით ააშენოს საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების აუცილებელი ნაგებობანი, მათ შორის საცხოვრებელი, ამასთან დაიცვას გაშენების ზოგადი წესები.

მოიჯარის მიერ საკუთარი ან სესხით აღებული სახსრების ხარჯზე დაიჯარებულ მიწის ნაკვეთზე აგებული შენობა-ნაგებობანი წარმოადგენს მის საკუთრებას, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული იჯარის ხელშეკრულებით.

3. პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციით მიღებული ამონაგები იჯარის ქირის, გადასახადებისა და ბანკის სესხის გადასახდელების შეტანის შემდეგ მოიჯარეს შეუძლია დამოუკიდებლად გამოიყენოს.

4. მოიჯარეთა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, სატრანსპორტო, სარემონტო და სხვა სახეობის მომსახურება სოფლის მეურნეობაში ხორციელდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის დადგენილი წესითა და პირობებით დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

5. გლეხთა და სხვა შრომითს მეურნეობებს საწარმოო საქმიანობის განხორციელებისას შეუძლიათ კოოპერაციული კავშირი დაამყარონ კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, შექმნან მომმარაგებელ-გამსაღებელი, გადამმუშავებელი, სარემონტო, სამშენებლო და სხვა კოოპერატივები, აგრეთვე სამეურნეო ამხანაგობები.

თავიანთი საქმიანობის ეფექტიანობის ზრდისა და კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით გლეხთა და სხვა შრომითს მეურნეობებს შეუძლიათ ნებაყოფლობით საწყისებზე გაერთიანდნენ კავშირებად.

მუხლი 28. ანგარიში ბანკში, კრედიტები

მოიჯარეს უფლება აქვს ბანკის დაწესებულებებში გახსნას ანგარიში ფულადი ოპერაციებისათვის. მას უფლება აქვს დამოუკიდებლად აირჩიოს ბანკი საკრედიტო-საანგარიშსწორებო ოპერაციების განხორციელებისათვის.

2. მოიჯარეებს ბანკების დაწესებულებებთან ან მეიჯარეებთან შეთანხმებული პირობებით შეუძლიათ მიიღონ მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხი წარმოების განვითარებისათვის. ამასთან შეიძლება გამოყენებულ იქნეს კრედიტების მიცემის საკონკურსო სისტემა.

3. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს შეუძლიათ მოიჯარეებს გამოუყონ სახსრები მეურნეობის თავდაპირველი მოწყობის, წარმოების განვითარების, მიწების მელიორაციის, საგზაო და საბინაო მშენებლობის განვითარებისათვის დაბრუნების ან უმისაგებლო საფუძველზე.

კარი II. შინასამეურნეო იჯარული ნარდი

მუხლი 29. შინასამეურნეო იჯარული ნარდის გამოყენება

1. შინასამეურნეო იჯარული ნარდი, როგორც ცალკეული მუშაკების, ქვეგანაყოფების კოლექტივების, მუშაკთა ჯგუფების (შემდეგ საიჯარო კოლექტივების) შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელმწიფო, კოლექტიურ და საზოგადოებრივ საწარმოებში.

2. საწარმო პროფკავშირულ კომიტეტთან შეთანხმებით ამტკიცებს დებულებას შინასამეურნეო იჯარული ნარდის შესახებ, პროდუქციის (მუშაობის, მომსახურების) შინასამეურნეო საანგარიშსწორებო ფასებსა და ტარიფებს, საიჯარო კოლექტივების მიერ მატერიალური და სხვა ხარჯების აღრიცხვის ფორმებს.

3. სახელმწიფო საწარმოს საიჯარო კოლექტივები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ შრომის ანაზღაურების ფორმებსა და სისტემას, სამუშაო დღის განრიგს, მუშაობის ცვლიანობას, იღებენ გადაწყვეტილებას სამუშაო დროის შემაჯამებელი აღრიცხვის შემოღების შესახებ, ადგენენ დასვენების დღეების მიცემის წესს, საწარმოს სხვადასხვა ქვეგანაყოფის საჭირო შეთანხმებული მოქმედების დაურღვევლად.

საიჯარო კოლექტივის შემადგენლობაში ახალი მუშაკების შეყვანა წარმოებს კოლექტივის თანხმობით.

4. სოფლის მეურნეობაში იჯარული ნარდის ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს საიჯარო კოლექტივის უფლება დაუდოს საწარმოს სახელით მოქალაქეებს, რომლებიც არ არიან საიჯარო კოლექტივის წევრები, შრომითი ხელშეკრულებები გარკვეული სამუშაოების შესრულების შესახებ. ასეთი მოქალაქეების შრომის ანაზღაურება წარმოებს იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც განკუთვნილია საიჯარო კოლექტივის წევრთა შრომის ანაზღაურებისათვის.

მუხლი 30. საიჯარო კოლექტივის სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაცია

1. იჯარული ნარდის ხელშეკრულების შესაბამისად საიჯარო კოლექტივი კისრულობს ვალდებულებას აწარმოოს და გადასცეს საწარმოს, ან მისი მითითებით, რეალიზაცია ჰყოს სხვა საწარმოებზე ან მოქალაქეებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქცია (სამუშაოები, მომსახურება).

საიჯარო კოლექტივს უფლება აქვს განკარგავდეს თავისი შეხედულებისამებრ ხელშეკრულებაში აღნიშნული მოცულობის გადამეტებით წარმოებულ პროდუქციას (სამუშაოებს, მომსახურებას), თუ სხვა რამ არ არის დადგენილი კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით.

2. იჯარული ნარდის დროს საწარმო ახორციელებს ანგარიშსწორებას ბიუჯეტთან, ბანკთან და ზემდგომ ორგანოსთან დადგენილი წესით, მთლიანად საწარმოს საქმიანობის შედეგების მიხედვით. იგი ინარჩუნებს ძირითადი ნომენკლატურისა და პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოების მოცულობის დაგეგმვის ფუნქციებს, აგრეთვე ახორციელებს ერთიან ტექნიკურ პოლიტიკას, ატარებს ტექნიკურ განახლებასა და რეკონსტრუქციას საწარმოსათვის საერთო გეგმების მიხედვით, ავითარებს სოციალურ სფეროს.

საწარმოო პროგრამას აყალიბებს საიჯარო კოლექტივი დამოუკიდებლად, იჯარული ნარდის ხელშეკრულებით დათქმული ვალდებულებების გათვალისწინებით.

3. იჯარული ნარდის ხელშეკრულებით განისაზღვრება ოდენობა და წესი საიჯარო კოლექტივის მონაწილეობისა საწარმოს ხარჯებსა და გადასახდელებში, მათ შორის, წარმოების განვითარების, მეცნიერებისა და ტექნიკის და სოციალური საჭიროებების ხარჯებში.

4. იჯარული ნარდის ხელშეკრულებაში განისაზღვრება მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულებისათვის.

5. საწარმოს შეუძლია ქვეგანაყოფის საიჯარო კოლექტივს მისცეს უფლება დადოს სამეურნეო ხელშეკრულებანი საწარმოს სახელით. ასეთ საიჯარო კოლექტივს უფლება აქვს გახსნას ანგარიში ბანკის დაწესებულებაში. საიჯარო კოლექტივს აკისრია პასუხისმგებლობა ხელშეკრულებების მიხედვით მასზე გაპიროვნებული ქონებისათვის. ქონების უკმარისობის შემთხვევაში საიჯარო კოლექტივის ვალდებულებათა მიხედვით პასუხისმგებლობა აკისრია საწარმოს.

6. საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს შეუძლიათ სახელშეკრულებო საწყისებით მიანიჭონ ქვეგანაყოფების საიჯარო კოლექტივებს უფლება დამოუკიდებლად ჰყონ რეალიზაცია მათ მიერ წარმოებულ პროდუქციას (სამუშაოებს. მომსახურებას), მოიხმარონ მიღებული შემოსავალი შრომის ასანაზღაურებლად, გადასახადისა და საბიუჯეტო გადასახდელების, სოციალური დაზღვევის შესატანის გასასტუმრებლად. ასეთ საიჯარო კოლექტივებს შეუძლიათ გახსნან ანგარიში ბანკის დაწესებულებაში ან საფინანსო-საანგარიშსწორებო ცენტრებში.

7. შინასამეურნეო იჯარის დროს მეიჯარეს შეუძლია სხვადასხვაგვარი შეღავათები მიანიჭოს მოიჯარეს.

მუხლი 31. იჯარის ქირა სანარდო იჯარის დროს

1. საიჯარო კოლექტივზე გაპიროვნებული ქონების გამოყენების ქირა (იჯარის ქირა) განისაზღვრება იჯარული ნარდის ხელშეკრულებით. ფასებისა და სხვა ეკონომიკური პირობების შეცვლის შემთხვევაში იჯარის ქირის ოდენობა შეიძლება გადაისინჯოს მხარეთა შეთანხმებით.

2. თუ ნათესების, პირუტყვისა და სხვა დაიჯარებული ქონების დაზღვევას ახორციელებს საწარმო, და საიჯარო კოლექტივს არ მიუღია ხელშეკრულებით დათქმული მოცულობის პროდუქცია სტიქიური უბედურების გამო, ან სხვა სადაზღვევო შემთხვევებში, იჯარის ქირა პროპორციულად კლებულობს საწარმოს მიერ მიღებული სადაზღვევო ანაზღაურების თანხით.

საიჯარო კოლექტივს უფლება აქვს საწარმოს თანხმობით დადოს მისი სახელით ხელშეკრულებანი ნათესების, პირუტყვისა და სხვა ქონების დასაზღვევად. ამ შემთხვევაში სტიქიური უბედურებისა და სხვა სადაზღვევო შემთხვევების დროს იჯარის ქირის ოდენობა არ გადაისინჯება.

მუხლი 32. საიჯარო კოლექტივის შემოსავალი

1. საიჯარო კოლექტივების შემოსავალს ქმნის ამონაგები მას შემდეგ, რაც კოლექტივი შეიტანს იჯარის ქირას, აანაზღაურებს მატერიალურ დანახარჯებს, აწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ანარიცხებს. საიჯარო კოლექტივი დარჩენილ შემოსავალს იყენებს დამოუკიდებლად და ეს შემოსავალი არ ექვემდებარება ამოღებას.

2. შრომის ასანაზღაურებლად მოსახმარი სახსრების ოდენობის რეგულირების წესს განსაზღვრავს იჯარული ნარდის ხელშეკრულება.

მუხლი 33. საიჯარო კოლექტივის უფლებათა გარანტია

1. იჯარული ნარდის ხელშეკრულების შესაბამისად საიჯარო კოლექტივზე გაპიროვნებული ქონების საწარმოს მიერ ამოღება არ დაიშვება.

2. იჯარული ნარდის ხელშეკრულების ვადამდელი შეცვლა ან მოშლა დაიშვება მხოლოდ საიჯარო კოლექტივისა და საწარმოს შეთანხმებით.

3. საიჯარო კოლექტივსა და საწარმოს შორის იჯარული ნარდის ხელშეკრულების შესრულების, მოშლისა და შეცვლის გამო წამოჭრილი დავა წყდება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე
მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი, 1989 წლის 23 ნოემბერი.

მ. ს. გორბაჩოვი მალტაში ჩავიდა

(საქართაგ)

ვალეტა, 2 დეკემბერი. (საქ[illegible]ხის სპეც. კორ.). აქ მილანიდან ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი, რომელმაც შუალედური არაოფიციალური შეხვედრა უნდა გამართოს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ჯ. ბუშთან.

სსრ კავშირისა და მალტის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროპორტში მ. ს. გორბაჩოვს დახვდნენ მალტის პრეზიდენტი ჩ. ტაბონე, პრემიერ-მინისტრი ე. ფენეკ ადამი, მთავრობის წევრები. შესრულდა ორი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნები, გამწკრივებული იყო საპატიო ყარაული.

მ. ს. გორბაჩოვმა გააკეთა მოკლე განცხადება.

მინდა, მადლობა მოვახსენო მალტის პრეზიდენტს, მთავრობას, ხალხს, თქვა მან, სტუმართმოყვარეობისათვის, აგრეთვე ჩვენთვის ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხის სწრაფი გადაწყვეტისათვის. მე ვგულისხმობ პრეზიდენტ ბუშისა და ჩემს თხოვნას მოეცათ შესაძლებლობა შევხვედროდით მალტის ნაპირებთან. და თუმცა ჩვენ ერთმანეთს სამხედრო ხომალდებზე ვხვდებით, მინდა აღგიქვათ, რომ ჩვენი საუბრის თემა იქნება — ამაში დარწმუნებული ვარ — უკეთესი მსოფლიო, ის, თუ როგორ გადავიდეთ რაც შეიძლება მალე ურთიერთობის განვითარების ახლანდელი ფაზიდან ყველა კონტინენტზე უფრო მტკიცე მშვიდობის დამკვიდრებაზე.

ამ შეხვედრას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ არ მოვცდებით და არ დავკარგავთ დროს ფორმალობებზე, და დიდი საქმიანი საუბარი გვექნება იმ საკითხებზე, რომლებიც აღელვებს ჩვენს ხალხებსაც — მე მხედველობაში მყავს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხები — და ყველა სხვა ქვეყნის ხალხებსაც.

მე და პრეზიდენტმა ბუშმა მოვილაპარაკეთ, რომ ეს შუალედური შეხვედრა გაგვემართა ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა ხელმძღვანელის ოფიციალური ვიზიტის წინ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ახლა ისეთი დროა და მოვლენები ისე ბობოქრად ვითარდება, რომ უკვე მეტი დინამიკა გვმართებს ჩვენს კონტაქტებში, ჩვენს ურთიერთობაში, ჩვენს დიალოგში.

სწორედ ამიტომ ვართ აქ. მინდა, ერთხელ კიდევ გადაგიხადოთ მადლობა თქვენ და მალტის ხალხს. ვიმედოვნებ, რომ ჩვენ ჯეროვნად გამოვიყენებთ თქვენს სტუმართმოყვარეობას.

მალტის პრეზიდენტმა ჩენსუ ტაბონემ თავის განცხადებაში თქვა:

დიდ კმაყოფილებას მანიჭებს მოგესალმოთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო გორბაჩოვ, მალტის ხალხისა და მთავრობის სახელით. როდესაც პრემიერ-მინისტრმა ედვარდ ფენეკ ადამიმ თქვენი მინისტრის ედუარდ შევარდნაძის პირით შემოგითვალათ მოწვევა ჩამოსულიყავით მალტაში, ვერავინ ვერ იფიქრებდა, რომ თქვენი ვიზიტი ესოდენ მნიშვნელოვან გარემოებებში გაიმართებოდა. შეგიძლიათ იქონიოთ მალტელთა სრული თანამშრომლობისა და სტუმართმოყვარეობის იმედი, რათა პრეზიდენტ ბუშთან შეხვედრა დაგვირგვინდეს იმ წარმატებით, რომლის იმედიც აქვს და რომლისთვისაც ლოცულობს მსოფლიოს ყველა ადამიანი. ჩვენ ასევე ვიმედოვნებთ, რომ თქვენ შესძლებთ თუნდაც ცოტათი გაეცნოთ მალტასა და ჩვენს ხალხს. ჩვენს კუნძულზე ყოფნისას ნიადაგ თქვენზე ვიფიქრებთ და თქვენზე ვილოცებთ. ეს საბჭოთა ხელმძღვანელის პირველი ვიზიტია მალტაში და დიდი პატივია ჩვენთვის.

ისტორიის გზებს ჩვენ ზოგჯერ ერთად შევუყრივართ, როგორც შორეულ, ისე არცთუ შორეულ წარსულში. ჩვენ გამოვსულვართ ერთნაირი პოზიციებიდან ბევრ დიდმნიშვნელოვან ეტაპზე და, კერძოდ, საერთო-ევროპის პროცესის განვითარებაში. ამ ცოტა ხნის წინ ჩვენ გვქონდა პატივი მოგვეწვია თქვენი წარმომადგენლები და მივესალმებოდით მათ ევროპის საბჭოს ფარგლებში გამართულ ერთ-ერთ თათბირზე. ჩვენ მივესალმებით თქვენს დაინტერესებას და თქვენს ინიციატივებს, რომლებიც ემსახურება ევროპის საერთო სახლის შექმნას.

ორმხრივ ურთიერთობაში ჩვენ ვთანამშრომლობთ მთელ რიგ ისეთ დარგებში, როგორიც არის ვაჭრობა, ტრანსპორტი და კულტურა. მალტა სიამოვნებით ასრულებს გარკვეულ როლს თქვენს გემთსაშენებლო პროგრამაში, რომელიც დიდი სტიმულია ჩვენი მრეწველობისათვის და კარგ სამომავლო პერსპექტივებს გვისახავს.

ბატონო პრეზიდენტო, თქვენ წინ გიძევთ დაძაბული პროგრამა, და ჩვენ გვესმის, რომ მალტის უმაღლესი დონის შეხვედრა — ეს არის ჭეშმარიტად ისტორიული შეხვედრა, ვინაიდან იგი მიმდინარეობს მთელ მსოფლიოში უდიდესი ცვლილებების მომენტში, ცვლილებებისა, რომლებიც დიდ შესაძლებლობებს გვპირდება გლობალური მასშტაბით ჭეშმარიტი მშვიდობის დამყარებაში.

ბატონო პრეზიდენტო, გთხოვთ შინაურულად იგრძნოთ თავი მალტაში. იმედი გვაქვს, რომ თქვენი ვიზიტი წინამორბედია აგრეთვე სხვა ვიზიტებისა, რომლებიც ხელს შეუწყობენ მშვიდობის საქმეს და ჩვენი ურთიერთობის განვითარებას.

აეროპორტიდან მ. ს. გორბაჩოვი ჩავიდა ვალეტაში, ხმელთაშუა ზღვის კუნძულ-სახელმწიფოს დედაქალაქში. მიუხედავად იმისა, რომ გვიანი იყო, ქალაქის მცხოვრებნი გარეთ გამოვიდნენ და გულთბილად ესალმებოდნენ საბჭოთა ხელმძღვანელს.

პირველი გაჩერება იყო ობერჟ დე კასტილში, სადაც მალტის პრემიერ-მინისტრის კანცელარიაა. აქ გაიმართა საუბარი ე. ფენეკ ადამისთან. შემდეგ ავტომანქანების კორტეჟი გაემართა მარსაშლოკის ყურისაკენ, რომლის ერთ-ერთ ნავმისადგომთანაც დგას თბომავალი „მაქსიმ გორკი" — საბჭოთა ხელმძღვანელის რეზიდენცია. სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მალტის დიალოგი მსოფლიო საზოგადოებრიობის უდიდეს ინტერესს იწვევს. ამას ადასტურებს უკვე ის ფაქტი, რომ მის გაშუქებაში მონაწილეობისათვის აკრედიტებულია მსოფლიოს უდიდესი გაზეთების, ჟურნალების, დეპეშათა სააგენტოებისა და ტელეკომპანიების 2500-ზე მეტი ჟურნალისტი. დღედაღამ მუშაობს შეხვედრის გაშუქებისათვის სპეციალურად შექმნილი პრესცენტრი. მის შესასვლელთან, მალტის ძველთაძველი ბასტიონების მახლობლად, ფანტასტიკური ყვავილების ფოლადის ფურცლებად გაშლილა ანტენების თასები, რომელთა მეშვეობითაც შეიტყობს მთელი მსოფლიო სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერთა მოლაპარაკების უკანასკნელ ცნობებს.

საბჭოთა კრეისერის „სლავას" და ამერიკის კრეისერის „ბელკნაპის" ბორტზე, როგორც პრესცენტრში თქვეს, ყველაფერი მზად არის უმაღლესი დონის შეხვედრისათვის. მოელიან, რომ გათვალისწინებული სამი შეხვედრიდან ორი გაიმართება შაბათს — საბჭოთა ხომალდზე და ერთი კვირა დილით — ამერიკის კრეისერზე. შეხვედრის დამთავრების შემდეგ კვირას ნაშუადღევს მ. ს. გორბაჩოვი და ჯ. ბუში ამერიკის კრეისერის ბორტზე გააკეთებენ განცხადებებს პრესისათვის.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

კ ა ნ ო ნ ი

ლიტვის სსრ, ლატვიის სსრ და ესტონეთის სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის შესახებ

კანონი რესპუბლიკების ეკონომიკური დამოუკიდებლობის შესახებ ისახავს მიზნებს, რომლებიც გამოხატავენ სსრ კავშირის დემოკრატიზაციასა და ეკონომიკური პოლიტიკის გარდაქმნას. კანონი ამკვიდრებს სუვერენული მოკავშირე რესპუბლიკების უფლებას დამოუკიდებლად გაუძღვნენ მეურნეობას, და ითვალისწინებს მათ თანასწორუფლებიან მონაწილეობას სარესპუბლიკათშორისო საკავშირო საქმიანობაში.

ამ კანონის დებულებანი მოქმედებენ რესპუბლიკების მიმართ, რომლებიც სსრ კავშირის ფედერაციულ სისტემაში შედიან.

კანონი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

რესპუბლიკების ეკონომიკური დამოუკიდებლობის შეხამება სსრ კავშირის დადგენილ ფუნქციებთან;

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების გაფართოება შიგა რესპუბლიკურ და რესპუბლიკათშორისო ეკონომიკურ კავშირურთიერთობასა და სსრ კავშირის ქმედითი ბაზრის შექმნაში;

რესპუბლიკების ეკონომიკური დამოუკიდებლობის შეხამება ადგილობრივი ორგანოებისა და სამეურნეოანგარიშიანი საწარმოების თვითმმართველობასთან;

მოკავშირე რესპუბლიკების განვითარების სპეციფიკური პირობების უკეთ გამოყენება:

რესპუბლიკებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების დაინტერესება და პასუხისმგებლობა ცხოვრების დონის, ეკონომიკური პოტენციალის ამაღლებისათვის და ამ საფუძველზე სსრ კავშირის განმტკიცება.

მუხლი 1. რესპუბლიკებში, რომლებიც ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე გადადიან, მათი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები სსრ კავშირის კანონთა ფარგლებში:

1) იღებენ საკანონმდებლო აქტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის გარდაქმნასა და ფუნქციონირებას;

2) ფლობენ, იყენებენ და განკარგავენ მიწასა და სხვა ბუნებრივ რესურსებს თავიანთ ტერიტორიაზე რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ინტერესებისათვის;

3) ეკონომიკურად არეგულირებენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე მეურნეობის ყველა დარგისა და სუბიექტის საქმიანობას;

4) ხელმძღვანელობენ რესპუბლიკის საფინანსო სისტემასა და რესპუბლიკური ბანკების საქმიანობას (სსრ კავშირის სახბანკის სისტემის დაწესებულებათა გარდა);

5) აყალიბებენ რესპუბლიკის სახელმწიფო შემოსავლის სისტემას რესპუბლიკებისა და სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად და ქმნიან დამოუკიდებელ რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს;

6) განსაზღვრავენ შრომის ანაზღაურების, პენსიების, სტიპენდიებისა და დახმარების დიფერენცირებულ პირობებს, ადგენენ ფასწარმოქმნის წესს რესპუბლიკების ტერიტორიაზე;

7) ხელმძღვანელობენ რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობას რესპუბლიკებსა და სსრ კავშირს შორის დადგენილი შეთანხმებული ნორმების დაცვით;

8) განკარგავენ ბუნებრივი რესურსების სახელმწიფო ფონდს, აწესებენ ბუნებათ-სარგებლობის ზღვრულ ლიმიტებს, ნორმატივებსა და სამართლებრივ ნორმებს, აგრეთვე ამასთან დაკავშირებით იძლევიან საწარმოთა, ორგანიზაციათა და მეურნეობათა საქმიანობის ნებართვას და კრძალავენ მას;

9) ქმნიან ფინანსურ ბაზარს სხვა რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების სახსრების, აგრეთვე საერთო-საკავშირო ფინანსური რესურსების მიზიდვით ურთიერთხელსაყრელ საწყისებზე.

მუხლი 2. რესპუბლიკების ახალი სამეურნეო მექანიზმის საფუძველია საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და მეურნეობათა დამოუკიდებლობა, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ სამეურნეო ანგარიშისა და ყველა ფორმის საკუთრების თანასწორუფლებიანობის პრინციპებით. საწარმოებს შეუძლიათ დამოუკიდებლად დადონ ხელშეკრულებები სამეურნეო პარტნიორებთან და ნებაყოფლობის საწყისებზე შევიდნენ რესპუბლიკურ, სარესპუბლიკათშორისო, საკავშირო და სხვა ასოციაციებში. ამასთან საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები უნდა იცავდნენ რესპუბლიკის კანონებს.

სსრ კავშირის მთავრობასა და რესპუბლიკის მთავრობას შორის მორიგებით საკავშირო სამინისტროები, კომიტეტები და უწყებები რესპუბლიკის ხალხის განმგებლობაში გადასცემენ საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს მთელი ძირითადი და საბრუნავი სახსრებითურთ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოსული საბიუჯეტო შემოსავალი ნაწილდება საკავშირო ბიუჯეტსა და მოკავშირე რესპუბლიკის ბიუჯეტს შორის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის მორიგებით საკავშირო საკუთრებას განეკუთვნება შეიარაღებული ძალების საშუალებები, მაგისტრალური ნავთობგაზსადენები და სხვა ობიექტები, რომლებსაც საერთო-საკავშირო მნიშვნელობა აქვს.

რესპუბლიკის საკუთრებაში ძირითადი და საბრუნავი საშუალებების გადასვლა არ ცვლის არსებულ ერთიან ტექნოლოგიურ სტრუქტურებს (ტრანსპორტი, ელექტროგადამცემი ხაზები და ა. შ.).

სარესპუბლიკათშორისო ანგარიშსწორების საფუძვლად გამოიყენება მანეთი.

მუხლი 3. ეკონომიკურად დამოუკიდებელ რესპუბლიკას აქვს ბიუჯეტი, განსაზღვრავს საბიუჯეტო სახსრების შემოსვლის წყაროებსა და მოცულობას. რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და გამოყენების წესს (რომელიც არ შედის სსრ კავშირის ბიუჯეტში), აგრეთვე საბიუჯეტო ასიგნებათა განმკარგულებლების უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და რესპუბლიკის მმართველობის ორგანოები.

რესპუბლიკა ურთიერთხელსაყრელ და ნებაყოფლობის საწყისებზე მონაწილეობს თავისი ბიუჯეტიდან საერთო-საკავშირო (სარესპუბლიკათშორისო) სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების, გარემოს დაცვის სადაზღვევო ფონდების დაფინანსებაში, აგრეთვე საკავშირო ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო სარეზერვო და სხვა ფულადი ფონდების შექმნაში.

მუხლი 4. რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები უზრუნველყოფენ რესპუბლიკური ბაზრის რეგულირების უპირატესად ფინანსურ და ფულად-საკრედიტო ბერკეტებზე გადასვლას, რომელსაც ახორციელებენ შესაბამისი ორგანოები თავიანთი კომპეტენციის თანახმად.

მუხლი 5. სსრ კავშირისა და რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოები უზრუნველყოფენ და ავითარებენ სარესპუბლიკათშორისო სამეურნეო კავშირ-ურთიერთობას, აგრეთვე ფულად ურთიერთობას, რომელიც გამორიცხავს ეკონომიკური დისკრიმინაციის ყოველგვარ ფორმას. რესპუბლიკები იღებენ სახელშეკრულებო ვალდებულებებს სარესპუბლიკათშორისო საქონელბრუნვის შესახებ რესურსების ფონდებისა და ლიმიტების ცენტრალიზებული განაწილების გათვალისწინებით. საბითუმო ვაჭრობაზე სრულ გადასვლამდე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და სსრ კავშირის სახმომარაგება მთლიანად სახალხო მეურნეობის მიხედვით დადგენილი წესის შესაბამისად რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს გამოუყოფენ ცენტრალიზებულად გასანაწილებელი რესურსების ლიმიტებს დარგებისა და მიმართულების მიხედვით განაწილების გარეშე.

მუხლი 6. ეკონომიკურ ურთიერთობას ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის სს რესპუბლიკებში არეგლამენტებენ რესპუბლიკური კონსტიტუციები, ლიტვის სსრ კანონი „ლიტვის სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლების შესახებ", ლატვიის სსრ კანონი „ლატვიის სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის შესახებ", ესტონეთის სსრ კანონი „ესტონეთის სსრ სამეურნეო ანგარიშის საფუძვლების შესახებ" და სსრ კავშირის შესაბამისი კანონები.

დადგინდეს, რომ სამეურნეო ურთიერთობის მარეგულირებელი სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტები მოქმედებს აღნიშნული რესპუბლიკების ტერიტორიებზე იმდენად, რამდენადაც ისინი არ ეწინააღმდეგება ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე მათ გადასვლას.

ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის სს რესპუბლიკებს, რომლებიც ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე პირველი გადადიან, ნებაყოფლობით შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკების ორგანოების მიერ შემუშავებული რადიკალური ეკონომიკური რეფორმის ღონისძიებათა აპრობაციასა და განხორციელებაში, რომლებიც რესპუბლიკის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას ეხება.

კანონი სამოქმედოდ შემოდის ზოგადი წესით.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1989 წლის 27 ნოემბერი.

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

რეალური ხელისუფლება: პრობლემათა მრავალწახნაგოვნება და პრაქტიკული პერსპექტივა

ჩანაწერები რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომიდან

ერთი კვირის წინ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა რესპუბლიკაში ზამთრის სეზონისათვის მზადების საკითხი, 29 ნოემბერს მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის დღის წესრიგში პირველ პუნქტად კვლავ იყო ინფორმაცია „რესპუბლიკის თბომეურნეობის 1989-1990 წლების ზამთრის სეზონისათვის მზადყოფნის შესახებ", ანუ პირველი საკითხის შემადგენელი ნაწილი.

რატომ? გამეორებაა?

არა — დაკონკრეტება, საერთოდან ნაწილის გამოყოფა და დეტალიზაცია — რა შესრულდა, რა ვერ გაკეთდა, რა არის საჭირო საკითხის გადასაწყვეტად — კონკრეტულ უბანზე, კონკრეტულ შემთხვევაში.

ხომ არ ხდება ამ დროს უშუალო შემსრულებლის ფუნქციის საკუთარ ხელში აღება? არა! ძირითადია კონტროლი, მაგრამ არა მარტო დაფიქსირება სიტუაციის (რაც, თავისთავად, მიღებული გადაწყვეტილების შესრულების ძლიერი სტიმულია), არამედ დახმარებაც იმ დონეზე და იმ საკითხებში, რომლებიც მთავრობის ჩარევას საჭიროებს.

ე. ი. განხილვა განხილვისათვის კი არა, საქმის გასაკეთებლად. საამისო მუშაობა კი პრეზიდიუმის სხდომამდე, გაცილებით ადრე იწყება, უმეტესად — შედეგიანად. საკითხი, მაგალითად, რომელიც საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ და სახალხო დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა შემოიტანეს, ფაქტობრივად არ განხილულა, რადგან დადგენილების 7 პუნქტიდან 3 უკვე შესრულებული იყო: საქვაბეები — უზრუნველყოფილია საწვავით, თბილისის თბოსადგურების ქვაბები და თბოქსელები — შეკეთებულია.

ასე ხდება მაშინ, როდესაც ხელმძღვანელობა პრაქტიკულია და საგნობრივი.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის 29 ნოემბრის სხდომის ამ ფრაგმენტში მთავრობის საქმიანობის სტილის ეს ერთი თავისებური შტრიხი წარმოჩნდა. სტილზე საუბარს გაბედვა უნდა, სარისკოა განზოგადება: ნებისმიერი დებულება არასრული იქნება და უკმარი. მაინც შევეცდები: მთავარი თავისებურება პრობლემისადმი მრავალწახნაგოვან (კომპლექსურ) მიდგომაში გამოიხატება, მის ეტაპობრივ გადაწყვეტას ითვალისწინებს (რაც, თავისთავად, მარტო თანმიმდევრობას არ გულისხმობს), სისტემატურ კონტროლს, რეალური დახმარების გაწევას, პროფესიული კონტაქტების დამყარებას და ერთობლივ მუშაობასაც.

ეს პრაქტიკული მაგალითებით მტკიცდება.

ექსკურსი განმარტებისათვის:

ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია თბილისში სანიტარიული წესრიგის დაცვისათვის მინისტრთა საბჭოს მიერ გააქტიურებულმა საქმიანობამ. მართალია, ოპონენტები მალე დარწმუნდნენ თავიანთი კრიტიკული არგუმენტების უსაფუძვლობაში. არც ნიშნის მოსაგებად, არც პრიორიტეტის დაჩემებისათვის, მხოლოდ ცნობისათვის ერთ ფაქტს მოვიშველიებდი დამატებით. პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის ახლადარჩეულმა პირველმა მდივანმა ამ რამდენიმე დღის წინ ტელერეპორტიორის შეკითხვას, თუ რით აპირებს თავისი მოღვაწეობის დაწყებას, უპასუხა: მოსკოვში სისუფთავის დამყარებით.

თბილისის პრობლემა მრავლისმომცველია, როგორც ცხოვრება. მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის განყოფილებათა (რომელთა რაოდენობაც ახლახან შეიკვეცა, შემადგენლობა გადახალისდა) სამუშაო გეგმებში ჩვენი დედაქალაქის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სამართლებრივი და ა. შ. ცხოვრების მრავალსახეობა უწყებების, საწარმოების, დაწესებულებების და ა. შ. ჭრილში მრავალდარგობრივად არის წარმოდგენილი.

გეგმა მუშაობს.

„ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ანგარიში გარდაქმნის შესაბამისად რაიონში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ".

ეს საკითხი იმ გეგმიდანაა. მომდევნოც:

„ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მიერ რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ".

ორივე განიხილეს მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელსაც წარმართავდა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჭითანავა.

ერთი ზედნაშენური, მეორე ბაზისური, ორივე — თბილისის შესახებ.

როგორც ხედავთ, მხოლოდ სანიტარიული წესრიგით არ ყოფილა დაინტერესებული მინისტრთა საბჭო.

• • •

განიხილება პირველი საკითხი.

ლენინის სახელობის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარემ დავით ზუბიტაშვილმა ანგარიშის ტრადიციული სქემა აირჩია — ჯერ მიღწევებზე ილაპარაკა, შემდეგ თვითკრიტიკულად — ნაკლოვანებებზე:

„შეუფერებელ შენობებშია პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის და ს/გ „ჩარხმშენებლის" კლუბები, არასაკმარისია საკლუბო მუშაკთა რაოდენობა, განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა შეიქმნა საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატში"...

„ბევრი ობიექტი, განსაკუთრებით ბიბლიოთეკები ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. რაიონის ცენტრალური საბაზო ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადი ფონდი 40 ათას ერთეულს შეადგენს, განთავსებულია 160 კვ. მ. ფართობში. არც ერთ ბიბლიოთეკას არ გააჩნია ოთახი წრეობრივი მუშაობისათვის. ნაკლები ყურადღება ექცევა ბიბლიოთეკების ტექნიკური საშუალებებით აღჭურვას, რაიონის არც ერთ ბიბლიოთეკას არა აქვს ფილმოსკოპები, არსებული ინვენტარი მოძველებულია და შეცვლას მოითხოვს"...

„რაიონში არ არის არც ერთი თეატრი, არც ერთი მუზეუმი, არც ერთი საგამოფენო დარბაზი..."

„კინოთეატრ „საქართველოს" ესაჭიროება კაპიტალური რემონტი. უპატრონობისა და მოუვლელობისაგან დაინგრა და გაპარტახდა ამ კინოთეატრის საზაფხულო დარბაზი"...

რაიაღმასკომს კი ორი წლის მანძილზე ამ დაწესებულებათა მუშაობისა და მდგომარეობის საკითხი ერთხელაც არ განუხილავს.

რა გარდაქმნაზე შეიძლება აქ ლაპარაკი? თვითკრიტიკა ასეთ ვითარებაში მხოლოდ ფაქტების კონსტატაციაა.

ამიტომაა სავსებით ლოგიკური შეკითხვა, რომელსაც რაიაღმასკომის თავმჯდომარეს აძლევენ:

— აქვს თუ არა რაიაღმასკომს შემუშავებული ამ დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების პროგრამა?

პასუხი ცხადყოფს, რომ ასეთი პროგრამა არ არსებობს.

იქნებ ინტენსიური, მრავალფეროვანი მუშაობა ავსებს ამ ნაკლს? ამის გასარკვევად კვლავ ეკითხებიან:

— როგორია კლუბების, ბიბლიოთეკების დატვირთვის კოეფიციენტი?

აღმასკომის თავმჯდომარის პასუხი ძირითადად ორიოდ კულტურის სახლის დადებით მაგალითზე აიგო. მაგრამ, მოგეხსენებათ, ერთი და ორი განზოგადების უფლებას არ გვაძლევს, მით უფრო, შემდეგ და შემდეგ გაირკვევა, რომ პრაქტიკულად ამ დაწესებულებათა მუშაობას არც არავინ სწავლობს, არც არავინ განიხილავს, არც აფასებს, მაშასადამე, მიდის და მიიზლაზნება კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ქარავანი თავისთვის, დღევანდელი ცხოვრების დიდ გზას ჩამოცილებული.

სხდომის თავმჯდომარის შეკითხვა: — როგორია ამ დაწესებულებების საქმიანობის პოლიტიკური და მხატვრული დონე? ვთქვათ, ბაზა კარგია, დატვირთვა — ინტენსიური, თავიანთ დანიშნულებას, ფუნქციას როგორ ასრულებენ?

ოპონენტი (მინისტრთა საბჭოს კულტურისა და განათლების განყოფილება): — არადამაკმაყოფილებლად. (მის დასკვნაში აღნიშნულია: „ბიბლიოთეკები, კლუბები და კულტურის სახლები კარგავენ მოსახლეობის მასობრივი დასვენების, თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენების ფუნქციებს").

აღმასკომის თავმჯდომარე: — არ ვეთანხმები. თუ დროს მომცემთ, ჩამოვთვლი, რამდენ რესპუბლიკურ, საკავშირო ფესტივალში გავიმარჯვეა, ბავშვების მომზადების დონე მაღალია...

ორი ურთიერთგამომრიცხავი პასუხი. რომელია მართალი?

სხდომის თავმჯდომარე: — რაიონის არც ერთი შემოქმედებითი კოლექტივი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ საერთოდ არ გასულა. მათი დაბალი მხატვრული დონით ავხსნათ ეს ფაქტი, თუ იმით, რომ პრივილეგირებული კოლექტივების რიცხვში არ არიან და კულტურის სამინისტრო ამიტომ არ უჭერს მხარს?

დავით ზუბიტაშვილი: — მეორე დასკვნას ვეთანხმები.

სხდომის თავმჯდომარე: — ე. ი. კულტურის სამინისტრო არ გიჭერთ მხარს. დაგისვამთ თუ არა ეს საკითხი სამინისტროს ხელმძღვანელობის წინაშე?

დავით ზუბიტაშვილი: — ქალაქის აღმასკომის სამსახურთან რამდენჯერმე გვქონდა ამ საკითხზე საუბარი. გვპირდებიან.

არ გრჩებათ უკმარობის გრძნობა ამ, რაღაცით არასრული და ცალმხრივი, პასუხებით?

მოდით, გავაგრძელოთ მსჯელობა. გვპირდებიანო, — განაცხადა დ. ზუბიტაშვილმა. ეს იმ ანგარიშით თქვა უთუოდ, რომ ამ დონეზე გაკეთებული ასეთი შენიშვნა რეაგირების გარეშე არ დარჩება მათ მიერ, ვინც დაპირდა. მაგრამ მთავარი მაინც სხვაა. აზრობრივმა აქცენტმა გადაინაცვლა: კულტურის სამინისტროში ყურადღებას მხოლოდ პრივილეგირებულ კოლექტივებს აქცევენ თურმე, მუშათა რაიონი უყურადღებოდ მიატოვეს. მეორე რიგში დარჩა თავისთავად ნაგულისხმევი პასუხი — კოლექტივების მომზადების დონე მაღალია..

სწორედ აქ და ამ დროს სხდომის თავმჯდომარემ დასვა შეკითხვა, რომელმაც ახალი რაკურსით წარმოაჩინა არა მარტო ეს კონკრეტული საკითხი, არამედ საერთოდ პრობლემა: რაიაღმასკომის მიერ კულტურის დარგის ხელმძღვანელობა — სურვილისა და რეალობის არაადეკვატურობა, მაშასადამე, უპერსპექტივობაც.

— რა სამსახური გააჩნია რაიაღმასკომს, კულტურის დარგს რომ უხელმძღვანელოს?

პრობლემა გაშიშვლდა: რაიაღმასკომის არც ერთი მუშაკი ამ საქმეზე არაა გაპიროვნებული.

არც სხვა რაიაღმასკომებში. ასეთია მათი საშტატო სტრუქტურა. განა შეიძლება ასეთ ვითარებაში საგნობრივ ხელმძღვანელობაზე სერიოზული ლაპარაკი?

ის პაუზა, გნებავთ, დუმილის ის წუთი, რომელიც ამ დროს პრეზიდიუმის სხდომაზე ჩამოვარდა, მოჯარული ფიქრის ბრალი იყო: რამდენია ჯერ კიდევ გასაკეთებელი ფორმალიზმის დასაძლევად, თუნდაც ამ თითქოს აღზევებული განათლების, კულტურის, ხალხური შემოქმედების სფეროში, რომლის ორგანიზაციული სტრუქტურა ბიუროკრატიული პრაქტიკით ძალაგამოცლილია.

რაიაღმასკომს რა რეალური უფლება შეიძლება ჰქონდეს, როდესაც 52 ბიბლიოთეკის თანამშრომელთა დანიშვნა-გათავისუფლებას არავინ ეკითხება. თუმცა არც თვითონ ინტერესდება...

უწყების, კულტურის სამინისტროს, დარგობრივ პროფკავშირთა ინტერესები დაცულია, ღირსება — შეუბღალავი, ლენინის რაიონში კი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები არაპროფესიონალების, მეტიც — საშუალო განათლების არასპეციალისტების ხელშია.

მინისტრთა საბჭოს კულტურისა და განათლების განყოფილების დასკვნიდან: „ლენინის სახელობის რაიონში ამ დარგის მომუშავე 70-ზე მეტი მუშაკიდან მხოლოდ 22-ს აქვს უმაღლესი განათლება. აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის საკლუბო დაწესებულებების მხოლოდ 4 პროცენტს აქვს სპეციალური უმაღლესი განათლება, 11 პროცენტს — უმაღლესი არასპეციალური, 63 პროცენტი საშუალო განათლებისაა. იდენტური სურათია საბიბლიოთეკო დაწესებულებებში. მაშინ, როდესაც რესპუბლიკის რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი ამზადებს სპეციალისტებს, ხოლო თბილისში რამდენიმე ასეული კაცი სამსახურის შოვნის რიგში დგას".

რა დგას ამ შეუსაბამო სინამდვილის უკან? ორგანიზაციული ქაოსი თუ ზერელობა და უპასუხისმგებლობა?

ქალაქის აღმასკომის კულტურის სამმართველოს უფროსი ოთარ ბერძენიშვილი აღიარებს, რომ უწყებრივი დაქვემდებარება დიდად აბრკოლებს საქმეს და რაიაღმასკომების ფუნქცია ამ დარგში ფიქციაა.

ასე გამოიკვეთა ერთიმეორის მიყოლებით პრობლემები — ჰორიზონტალურად (საერთო პრობლემები რაიაღმასკომებისთვის) და ვერტიკალურად (ბიბლიოთეკიდან კულტურის სამინისტრომდე).

სად არის გამოსავალი?

სხდომის თავმჯდომარის შემაჯამებელი სიტყვიდან:

— აღმასკომის მუშაობა არასაკმარისად უნდა ჩაითვალოს. მით უფრო ხშირდება მხარდაჭერა.

3 თვის ვადაში შემუშავდეს რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების და ორგანიზაციების საქმიანობის გარდაქმნის პროგრამა. ეს პროგრამა, როგორც ეტალონი, უნდა დაამტკიცოს სამინისტროს კოლეგიამ და შემდგომ ყველა რაიონსა და ქალაქში მათი სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა გამოვიყენოთ. პრაქტიკულად ყველგან ამ სფეროში იდენტური მდგომარეობაა. პროგრამაში უნდა გავითვალისწინოთ მატერიალური ბაზის განმტკიცების, კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის, ურთიერთობების და სხვა სპეციფიკური საკითხები, რომლებსაც კულტურის სამინისტრო და თბილისის აღმასკომის კულტურის სამმართველო დაამუშავებენ პროფკავშირებთან ერთად.

მაგრამ მთავარი ალბათ, მაინც თვითშემოქმედებითი კოლექტივების ტრადიციის აღდგენაა, წინა წლების მდიდარი ტრადიციების, როდესაც რესპუბლიკაში არ იყო არც ერთი დაწესებულება, ორგანიზაცია, საწარმო, კოლმეურნეობა, მხატვრული კოლექტივი რომ არ ჰყოლოდა. იმ დროს ქარხნების დირექტორებს, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს სჯიდნენ თვითშემოქმედების მონაწილეებისათვის ფორმების შეკერვისა და ინვენტარის შეძენისათვის. მაგრამ სწორედ მაშინ იყო აღზევებული ხალხური თვითშემოქმედება და იყო ეროვნული კულტურის სამსახურში ჩამდგარი.

დღეს მდგომარეობა კარდინალურადაა შეცვლილი, მაგრამ სწორედ დღეს დავივიწყეთ ჩვენი კულტურის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა თუ წყარო, დავივიწყეთ და თუ ზომები არ მივიღეთ, იგი შეიძლება დაშრეს.

მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა ერთმნიშვნელოვნად უნდა გამოკვეთოს თავისი დამოკიდებულება ამ საქმისადმი, ქართული ხალხური შემოქმედების ტრადიციების აღდგენა საბჭოების, სამეურნეო ორგანიზაციების, დაწესებულებების მთავარ ამოცანად უნდა ჩაითვალოს ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში.

დღეს, როდესაც საბჭოების უფლება-მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გაზრდაზეა ლაპარაკი, წარმოუდგენელია რაიაღმასკომში არ იყოს სამსახური, [illegible] ნიშვნების გათვალისწინებით გადამუშავდება და გამოქვეყნდება.

• • •

შესაძლო ოპონენტის მოსალოდნელი შენიშვნისათვის.

სოციალური დაძაბულობის დღევანდელ სიტუაციაში ვითომ ეს არის მთავარი საკითხი, რომელიც მთავრობამ განიხილა?

ერთად განვსაჯოთ.

ეკონომიკის ექსტენსიური განვითარებისათვის, მოგეხსენებათ, სოფლიდან ქალაქში სამუშაო ძალის მიგრაციაა დამახასიათებელი. ეს საერთო ტენდენცია მუშათა ხელოვნური მოზიდვით გაძლიერდა, და, როგორც ყველაფერ არაბუნებრივს, ამასაც უარყოფითი შედეგი მოჰყვა: ბოლო 20 წელიწადში თბილისის მოსახლეობა თითქმის 42 პროცენტით გაიზარდა, რესპუბლიკისა — მხოლოდ 16,3 პროცენტით. ერთი მხრივ დაიცალა სოფელი, მეორე მხრივ, დაირღვა ის სოციალური და ეთნოკულტურა, რომელიც ქმნიდა თბილისის განუმეორებელ თავისებურებას.

ნორმალურად მიმდინარე მიგრაციის პროცესი ქალაქის კულტურის ამაღლების ერთ-ერთი წყაროა, ერის ინტელექტის აკუმულირება ქალაქში სწორედ ამ გზით ხდებოდა და ხდება. მაგრამ დიდმა ტალღამ დაარღვია ეს წონასწორობა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ ქალაქში გადმოსახლებულთ არ დახვდათ შესაფერისად განვითარებული ინფრასტრუქტურა, რომლის შემადგენელი ნაწილია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები.

საჭირო იყო თუ არა ზემოაღნიშნული საკითხის განხილვა, ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

• • •

ისევ თბილისი, მაგრამ ახალი რაკურსით.

მიმდინარე წლის 18 ივლისს მინისტრთა საბჭომ 1989-1990 წლების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გასაუმჯობესებელი ღონისძიებები დასახა. უკვე მოისმინეს რამდენიმე რაიაღმასკომის თავმჯდომარის, სამრეწველო საწარმოს, გაერთიანების ხელმძღვანელთა ანგარიში.

დღეს ანგარიშს აბარებს თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გივი ხეჩანია:

— რაიონში შექმნილია შემოქმედებითი ჯგუფი, რომელიც რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფციის საფუძველზე ამუშავებს რაიონის თვითდაფინანსებაზე გადასვლის მეთოდოლოგიურ საკითხებს, რათა 1991 წლიდან პრაქტიკულად განხორციელდეს რაიონის გადაყვანა სრულ სამეურნეო ანგარიშზე;

— ზენორმატიული ნაშთი წლეულს 20 მილიონი მანეთით შემცირდა;

— დებიტორულ დავალიანებათა შესამცირებლად დაინერგა ახალი მეთოდი — ბანკის მიერ დებიტორთა შესყიდვის ოპერაციები. ამ და სხვა ღონისძიებათა შედეგად 4 მილიონ მანეთზე მეტით შემცირდა დავალიანებები;

— განმტკიცდა საგადამხდელო დისციპლინა. თუ წინა სამ წელიწადში გადაუხდელობა 14 მილიონი მანეთით შემცირდა, ბოლო რამდენიმე თვეში — 7 მილიონით;

— წლეულს, 9 თვეში გადაჭარბებით შესრულდა რაიონის ბიუჯეტის შემოსავლის გეგმაც;

— რაიონი უემისიოდ მუშაობს.

საერთო დადებითი ტენდენციები აშკარაა, მაგრამ იგი საწარმოებსა და უწყებებზე დანაწევრებული, მოწინავეთა და ჩამორჩენილთა კონტრასტულ რიგებად დაიყოფა, გამოიკვეთება არა ერთი და ორი კოლექტივი, გაერთიანება, რომლებმაც ვერ დაძლიეს უძრაობის ინერცია და მეურნეობრიობის ახალ ფორმებზე გადასვლა, ფინანსური დისციპლინის განმტკიცება მაქსიმალურ ძალისხმევას მოითხოვს მათგან.

ამიტომ რაიაღმასკომს, განსაკუთრებით კი მის საგეგმო, საბანკო-საფინანსო და სტატისტიკის ორგანოებს მეტი მოქნილობა და სიახლეთა გაბედულად გამოყენება, ზუსტი კოორდინაცია და კონკრეტულობა მოეთხოვებათ.

სიახლეთა შორის ბანკის მიერ დებიტორთა შესყიდვამ განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია.

„ბინსოცბანკის" რაიონული განყოფილების მმართველმა ლუდმილა შიოშვილმა დეტალურად [illegible] საშუალება რაიაღმასკომს [illegible] გარკვეულიყო ამ პროცესებში და ემართა ისინი? — შეკითხვა რაიაღმასკომის თავმჯდომარეს.

— ჯერ ერთი, [illegible] რაიონის [illegible] ორგანიზაციებში რა ფინანსური მდგომარეობაა. ადრე ამ საკითხებით პრაქტიკულად არ [illegible] ფინანსური მართვის რაიონული ჯგუფი, რომელსაც აღმასკომის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს, სისტემატურად თათბირობს, მდგომარეობიდან და საკითხთა ოპერატიულობიდან გამომდინარე — ზოგჯერ ყოველკვირეულად, ზოგჯერაც კვირაში სამჯერ.

— საკითხებს ვინ ამზადებს, ვინ აანალიზებს?

— ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების, ბანკის, საფინანსო განყოფილების მუშაკთა ბრიგადები, რომლებიც ადგილზე შეისწავლიან საკითხებს.

— ე. ი. ამ სისტემამ რაიაღმასკომი საფინანსო პროცესებში ჩაახედა და მათი საჭირო მიმართულებით მართვის ბერკეტი მისცა?

— რასაკვირველია.

დავუმატებდი, რომ თავისი ადგილიც მოაძებნინა რაიაღმასკომს და რეალური ძალაუფლებაც მისცა, პრობლემის ცოდნით განმტკიცებული ძალაუფლება.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ განხილვის შეჯამებისას რაიაღმასკომის მუშაობა საინტერესოდ და საჭირო საქმიანობად დაახასიათა.

— მთავარი შედეგი, — თქვა მან, — არის ის, რომ მათ შეძლეს სისტემის ჩამოყალიბება. იგი ჯერ სრულყოფილი არაა, მაგრამ პირველ ეტაპზე დაახლოებით ასეთად გვქონდა წარმოდგენილი. ოქტომბრის რაიაღმასკომის მაგალითზეც დავრწმუნდით, რომ მთავრობის მიდგომა ამ პრობლემების მართვისადმი სწორია.

[illegible]

• • •

[illegible]

ზურაბ კორძაია.

აღდგეს წესრიგი, ამაღლდეს პასუხისმგებლობა

თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ბიუროს წევრებისა და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელთა მონაწილეობით გაიმართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ოპერატიულ ვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. თათბირს უძღვებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გივი გუმბარიძე.

მოისმინეს სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელთა ინფორმაცია ავტონომიურ ოლქში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის ღონისძიებათა შესახებ.

აღინიშნა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელების, სამართალდამცავი, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, რეგიონის მოსახლეობის ერთობლივი ძალისხმევის შედეგად თავიდან იქნა აცილებული მოვლენათა დრამატული განვითარება, ცალკეული კონფლიქტი და ექსცესები არ გადაიზარდა მასობრივ უწესრიგობაში, მიღწეულ იქნა მდგომარეობის სტაბილიზაცია და გამოჩნდა მისი ნორმალიზაციის პირველი ნიშნები, თუმცა საერთო ვითარება კვლავ დაძაბული რჩება. მართალია, პარტიული და საბჭოთა ორგანოები, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალები მთლიანად აკონტროლებენ მდგომარეობას, მაგრამ აქა-იქ, ზოგიერთ სოფელში კვლავ აქვს ადგილი უწესრიგობას, გამომწვევ მოქმედებას, პროვოკაციებს.

სამართალდამცავ ორგანოებს მიეთითათ, რომ ავტონომიურ ოლქში მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის გაწეული მუშაობა არასაკმარისია. აუცილებელია საქართველოს მილიციის ქვედანაყოფებმა, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების ხელმძღვანელებმა გამოიჩინონ მეტი სიმტკიცე, პრინციპულობა და შეურიგებლობა წესრიგის დარღვევისა და წაქეზების ყოველი ფაქტის მიმართ, ენერგიულად გამოავლინონ პროვოკატორები, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი, უზრუნველყონ გზებზე მოძრაობის უსაფრთხოება, მშვიდი ვითარების გარანტია ყველა დასახლებულ პუნქტში; ამასთან ერთად ოპერატიულად და მაქსიმალურად ობიექტურად გამოიძიონ უკვე აღძრული სისხლის სამართლის საქმეები, ყველა ის ფაქტი და მოვლენა, რომლებიც წინ უძღოდნენ ეროვნებათაშორის ურთიერთობის დაძაბვას და მის შემდგომ განვითარებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსახლეობის სისტემატურ ინფორმირებას, რათა ჭორების გავრცელების შედეგად, რაც იშვიათი შემთხვევა როდია, არ აზვირთდეს დაძაბულობის ახალი ტალღა, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ უახლოეს დღეებში მიღწეული იქნეს მდგომარეობის ნორმალიზაცია, აღსდგეს სიმშვიდე და სათანადო წინაპირობები შეიქმნას მოძმე ხალხის წარმომადგენელთა შორის არსებულ გაუგებრობათა მოსაგვარებლად.

თათბირზე აღინიშნა, რომ აუცილებელია კიდევ უფრო კონსტრუქციულად და ინტენსიურად გაგრძელდეს დიალოგი ორ მხარეს შორის, უფრო აქტიურად ჩაერთონ მასში ინტელიგენციის, საზოგადოებრივ მოძრაობათა წარმომადგენლები, ყველამ იგრძნოს პირადი პასუხისმგებლობა სიტყვისა და საქმისათვის; ყოველი ნაბიჯით, ყოველი მოქმედებით ხელი უნდა შევუწყოთ რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოებს, რათა დროულად აღადგინონ ცხოვრების ჩვეული რიტმი, ნორმალური, ტრადიციული ურთიერთობა ორ ხალხს შორის.

სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა და სამართალდაცვითი მუშაობის გარდაქმნის შესახებ სკპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნათა მიხედვით აფხაზეთის ასს რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამართალდაცვითი ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ამოცანები განიხილეს ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებაზე.

მოისმინეს რა აფხაზეთის ასსრ პროკურორის ა. კვიწინიას და ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის გ. ლომინაძის, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის ლ. ხაბურზანიას მოხსენებები, შეკრებილებმა ძირითადი ყურადღება დაუთმეს რეგიონში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში არსებულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს. 1989 წელს ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა და სამართალდაცვითმა ორგანოებმა დიდი ძალისხმევა მოახმარეს შექმნილი მდგომარეობის მოწესრიგებას. ამავე დროს, განხორციელებულ ღონისძიებათა ეფექტიანობას მნიშვნელოვანწილად ასუსტებდა მათი მოქმედების შეუთანხმებლობა, ღონისძიებათა განხორციელების დროს ჯეროვანი შემტევი სულისკვეთებისა და პრინციპულობის უქონლობა. სამართალდაცვითმა ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს მომწიფებული ტრაგიკული მოვლენების პროფილაქტიკა, გამოიჩინეს არაორგანიზებულობა, შეუწყნარებელი პასიურობა, არაპროფესიონალიზმი მასობრივ სამართალდარღვევათა აღკვეთაში. ხოლო ზოგიერთი თანამშრომლის უდისციპლინობას, დაბალ მორალურ-პოლიტიკურ დონეს მოჰყვა სოციალისტური კანონიერების სერიოზული დარღვევები. არ ხორციელდებოდა ყველა იმ პირის დადგენისა და პასუხისგებაში მიცემის საჭირო ღონისძიებანი; რომლებსაც ბრალი მიუძღვით ავტონომიურ რესპუბლიკაში ვითარების დესტაბილიზაციასა და დანაშაულობათა ჩადენაში.

ამ და კადრებთან მუშაობაში არსებულმა სხვა ნაკლოვანებებმა რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიტუაციაში განაპირობეს სამართალდაცვითი ორგანოების პროფილაქტიკური, ოპერატიულ-სამსახურებრივი და საგამოძიებო მუშაობის სერიოზული შესუსტება და ავტონომიურ რესპუბლიკაში ოპერატიული ვითარების ახლანდელი გართულება. მიმდინარე წლის ათ თვეში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში აღინიშნება საერთო სისხლის სამართლის დამნაშავეობის 20 პროცენტით, მძიმე დანაშაულობათა 58 პროცენტით ზრდა. მნიშვნელოვნად გადიდდა მკვლელობების, ძარცვის, ყაჩაღობის, სახელმწიფო ქონებისა და მოქალაქეთა პირადი საკუთრების ქურდობის რიცხვი. მკვეთრად გაიზარდა ქუჩის დამნაშავეობა არამომუშავეთა, ნასამართლევთა, სიმთვრალეში და იარაღის გამოყენებით ჩადენილ დანაშაულობათა ხვედრითი წილი. ამავე დროს შეუწყნარებლად შემცირდა მუქთახორობის, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის აქტიურობა.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული კომიტეტები და სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები ვერ უზრუნველყოფენ ჯეროვან კონტროლს განხორციელებული ღონისძიებებისადმი, არ არის პარტიული, საბჭოთა და სამართალდაცვითი ორგანოების, ფართო საზოგადოებრიობის მჭიდრო ურთიერთმოქმედება. ყველგან არ აღმოფხვრილა საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მუშაობაში ფორმალიზმის, გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის ფაქტები. კვლავინდებურად ხდება უსამართლო განაჩენის გამოტანისა და პროცესუალური ნორმების სხვა დარღვევათა შემთხვევები, რომლებიც ბღალავენ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, რაც მოწმობს ხერიოზულ ნაკლოვანებებს სამართალდაცვითი ორგანოების კადრების შერჩევაში, განაწილებასა და აღზრდაში.

კრებაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ხიშბა.

თ. ჯიბუტი,
საქინფორმის კორ.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე იმსჯელეს გამგეობის VII პლენუმის დღის წესრიგის შესახებ. გადაწყდა, რომ პლენუმი გაიმართოს ამ თვის დასასრულს. გაწეული მუშაობის შესახებ პლენუმზე ანგარიშით წარსდგება გამგეობის სამდივნო.

პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო, რომ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირს ჰქონდეს თავისი წესდება, რომლის მიხედვითაც მას როგორც დამოუკიდებელ ორგანიზაციას, შესაძლებლობა ექნება დაამყაროს კავშირ-ურთიერთობანი როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე უცხოეთის ჟურნალისტურ გაერთიანებებთან.

პრეზიდიუმის სხდომაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ რესპუბლიკაში ორ და სამენოვანი რაიონული გაზეთების არსებობა არ იძლევა საშუალებას პრესამ სრულყოფილად წარმოაჩინოს თავისი სახე, ხდება ინფორმაციათა დუბლირება, რაციონალურად ვერ გამოიყენება გაზეთის ფართობი, ამავე დროს კნინდება რესპუბლიკის კონსტიტუციით დაკანონებული ქართული სახელმწიფო ენის როლი. ყოველივე ეს ლახავს გაზეთის ავტორიტეტს, ზღუდავს მის პროპაგანდისტულ და ორგანიზატორულ ფუნქციებს, თიშავს მკითხველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრეზიდიუმმა საჭიროდ ჩათვალა დააყენოს სათანადო ორგანოების წინაშე რესპუბლიკაში არსებული ორ და სამენოვანი გაზეთების გამოშვების მიზანშეწონილობის საკითხი.

ცნობილია, რომ ბოლო ხანს გაფართოვდა კონტაქტები საზღვარგარეთთან. საქართველოში ხშირად ჩამოდიან ჩვენი თანამემამულენი უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნებიდან. მათ შესახებ იბეჭდება მრავალი პუბლიკაცია, მაგრამ ზოგჯერ ეს ხდება სტიქიურად, უსისტემოდ და ყოველგვარი კოორდინაციის გარეშე. ამიტომ, პრეზიდიუმზე გადაწყდა, რომ გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციასთან შეიქმნას ჯგუფი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ამ თემას და არეგულირებს უცხოეთთან ურთიერთობების საკითხებს.

მოსწავლე-ახალგაზრდობამ ხშირ შემთხვევაში კარგად არ იცის მშობლიური რაიონის, სოფლის ისტორიული წარსული, მისი წარმოშობა, ეთნოგრაფია, მათ რაიონში მდებარე კულტურული ძეგლების ისტორია და მნიშვნელობა. ამ მიზნით პრეზიდიუმის წევრებმა მიიჩნიეს საჭიროდ, რომ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირთან შეიქმნას ჟურნალისტთა ჯგუფი, რომელიც საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტთან და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტთან ერთად ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე მოამზადებს და გამოსცემს ბროშურებს, სადაც სრულფასოვნად იქნება ასახული ამა თუ იმ რეგიონის ისტორია, რაც ერთგვარად იქნება დამხმარე მასალა საშუალო სკოლების მოსწავლეთათვის.

პრეზიდიუმის სხდომამ ამჯერად უკვე მეორედ განიხილა გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ ფურცლებზე 9 აპრილის შემდგომ დაბეჭდილი პუბლიკაციები. პლურალიზმის ატმოსფეროში გამართულ მწვავე კამათში ნათლად გამოიკვეთა ამ გაზეთის, როგორც ხალხთა შორის შუღლის გამღვივებლის როლი. სიმართლესმოკლებულმა მასალებმა როგორც ქართველი, ასევე არაქართველი მოსახლეობის დიდი აღშფოთება გამოიწვია. ამას ადასტურებს ის უამრავი წერილები, რომლებიც დღემდე შემოდის სხვადასხვა გაზეთების რედაქციებში, რადიოსა და ტელევიზიაში.

პრეზიდიუმზე ერთხმად გადაწყდა — დაისვას საკითხი რესპუბლიკის პროკურატურის წინაშე, რათა რედაქციის იმ თანამშრომელთა მიმართ, რომლებიც 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით აქვეყნებდნენ ფალსიფიცირებულ მასალებს, გამოიყენონ „სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-11 მუხლი, რომელიც ეროვნული ან რასობრივი მტრობისა თუ განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა თუ ღირსების დამცირების მიზნით განზრახ მოქმედებისათვის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე სხვა საკითხები.

მიზანი და მისწრაფება — კეთილშობილური

საფუძველი ჩაეყარა საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობისა და დახმარების ფონდს

ახლახან საფუძველი ჩაეყარა საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდს, რომელსაც თვით ამ იდეის ერთ-ერთი ავტორისა და დამფუძნებლის მერაბ კოსტავას სახელი ეწოდა.

ამგვარი ფონდის არსებობის იდეა ამ რამდენიმე თვის წინ დაიბადა, როცა დადგა ქვეყნის მძიმე დემოგრაფიული და ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის კონკრეტული ღონისძიებების განხორციელების საკითხი.

ამასთან დაკავშირებით, გაიმართა მოლაპარაკება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, სადაც მოიწონეს ფონდის დაარსების ინიციატორთა მოსაზრებები და წინადადება მისცეს მათ მოემზადებინათ, შემდგომ კი დასამტკიცებლად წარედგინათ საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდის წესდება.

1 სექტემბერს, ჩატარდა ფონდის დამფუძნებელი კრება, რომელმაც აირჩია სათათბირო 35 კაცის შემადგენლობით. მასში შევიდნენ მ. კოსტავა, ზ. გამსახურდია, ი. ბათიაშვილი, ი. წერეთელი, გ. გოგბაიძე, გ. კორძაძე, ნ. მგალობლიშვილი, აკადემიკოსი თ. ონიანი, მეცნიერებათა დოქტორები ნ. ნათაძე, თ. ჩიქვაიძე, თ. სიგუა და სხვები. სათათბიროს თავმჯდომარედ არჩეული იქნა ვ. ადამია.

კრებაზე დამტკიცდა ფონდის წესდება, რომლის თანახმად საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდი გამოცხადდა დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ორგანიზაციად. მის მიზანსა და ამოცანებს წარმოადგენს შექმნას საზოგადოების საბინაო ფონდი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, აგრეთვე რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისაგან ბინების გამოსყიდვის გზით და განახორციელოს მისი განაწილება სხვადასხვა ფორმით. ფონდის ძირითადი მიზანია დაეხმაროს დემოგრაფიული თვალსაზრისით მწვავე რეგიონებისა და სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას, აგრეთვე ხანდაზმულ მოქალაქეებს ეროვნული ნიშნის მიუხედავად; შექმნის მისთვის უვადო სარგებლობაში გადაცემული მიწის ფონდს, ხელს შეუწყობს მოსახლეობისა და მსჯავრდადებულთა განსახლებას შესაბამისი კანონმდებლობის დაცვით და მათს მატერიალური წარმოების სფეროში ჩაბმას.

1989 წლის 1 ნოემბრის დადგენილებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ აღნიშნული წესდება დაამტკიცა და მას იურიდიული საფუძველი მისცა.

საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდს ჰყავს თავისი შემსრულებელი აპარატი, გამგეობა (თავმჯდომარე ივანე შარვაშიძე), რომელიც დაკომპლექტდება სააღრიცხვო-ეკონომიკური დარგის სპეციალისტებით და შეასრულებს სათათბიროს გადაწყვეტილებებს.

ტრაგიკული შემთხვევის წინა დღეს მერაბ კოსტავამ ხელი მოაწერა უკანასკნელ მოწოდებას ფონდის დაარსების შესახებ, სადაც ჩამოყალიბებულია ამ მოძრაობის მნიშვნელობა, არსი, მიზანი და მისწრაფებები. ამავე დოკუმენტში იგი მოუწოდებს საქართველოს მკვიდრთ, ორგანიზაცია-დაწესებულებებს, კოოპერატივებს ქმედითი, ყოველწლიური დახმარება გაუწიონ ფონდს, გადარიცხონ მის ანგარიშზე ფულადი სახსრები, რათა განხორციელდეს ფონდის მიერ დასახული ამოცანები.

მ. კოსტავას სახელობის საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდის ანგარიშია: **ბინსოცბანკის ქ. თბილისის კიროვის რაიონის განყოფილების № 000164001 ანგარიშზე, გადასარიცხად, შემნახველი ბანკის ქ. თბილისის კიროვის რაიონის განყოფილების № 1400 ანგარიშზე ჩასარიცხად.**

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

თბილისში, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს შენობაში, გაიმართა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები მოეწყობა ახალ სამართლებრივ საფუძველზე, იგი ერთ-ერთი პირველი პრაქტიკული ნაბიჯი გახდება ჩვენი პოლიტიკური სისტემის ყოვლისმომცველი რეფორმის რეალიზაციის გზაზე.

სხდომაზე გამოსვლისას ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ი. ჟორდანიამ ყურადღება გაამახვილა კომისიის საქმიანობის მიმართულებებზე, იმ ამოცანებზე, რომლებიც მან უნდა გადაწყვიტოს, აგრეთვე „საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მიღებასთან დაკავშირებით წინასაარჩევნო ღონისძიებების მომზადებისა და განხორციელების თავისებურებებზე. ხაზი გაესვა იმას, რომ ყველა ეს ღონისძიება უნდა განხორციელდეს დემოკრატიულ საფუძველზე, ღიად და საჯაროდ, ჩვენი რესპუბლიკის მრავალეროვნულობის, მშრომელთა მოთხოვნებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შექმნა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო ოლქები. ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება და ამ საარჩევნო ოლქების სიები გამოქვეყნდება პრესაში.

დამტკიცდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების მომზადებისა და მოწყობის ძირითად ღონისძიებათა კალენდარული გეგმა, აგრეთვე ცენტრალური საარჩევნო კომისიის სამუშაო გეგმა 1989 წლის დეკემბრისათვის.

მიღებულია გადაწყვეტილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის), „საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისა“ და „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების“ შესახებ საქართველოს სსრ კანონების მასობრივი ტირაჟით გამოცემის შესახებ.

განხილულია არჩევნების სამზადისთან დაკავშირებით მთელი რიგი სხვა საკითხები.

(საქინფორმი).

• • •

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია დაბინავებულია საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს შენობაში. მისი მისამართია: თბილისი-380008, რუსთაველის პროსპექტი № 30. მეორე სართული, ოთახი № 108. ტელეფონი — 99-87-96.

სტიქია და ადამიანები

ცაგერში ბუნება მძვინვარებს

ხანგრძლივმა კოკისპირულმა წვიმებმა მეტად დაძაბული ექსტრემალური სიტუაციები შექმნა ცაგერის რაიონში. გააქტიურდა მეწყრული მოვლენები და ღვარცოფები, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა მოსახლეობას: ჩაიკეტა სოფლების — უსახელოს, ხოჯის, დეხვირის მისასვლელი გზები, მოიშალა ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის საშუალებები. მეწყერმა სერიოზულად დააზიანა სოფლების — ჩხუტელის, აღვის, წიფელჩის, ქვედა ცაგერის, ლაჯანას, ლაცორიის, სპათაგორის, ღვირიშის, წილამურისა და ზუბის მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები.

27 ნოემბერს ქ. ცაგერში ღვარცოფი შეიჭრა რამდენიმე ოჯახში. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ ყოფილა. ღვარცოფმა და მეწყერმა ჩააქცია სოფელ ზედა ღვირიშის სასაფლაო.

განსაკუთრებით დიდი საშიშროება შეიქმნა სოფელ გვესოში. გააქტიურდა მეწყერი, მიწის უზარმაზარი მასა წალეკვით ემუქრება სოფელ ქვედა ცაგერის ფერდობს და მის მიმდებარე ქალაქ ცაგერის მოსახლეობის 60-მდე ოჯახს.

ცაგერში დაიტბორა ლენინის, ნინოშვილის და პარტიზანთა ქუჩების საცხოვრებელი სახლების პირველი სართულები. ადიდებული მდინარე ლაჯანური შეიჭრა სოფელ ლაჯანის დასახლებაში, საიდანაც გახიზნულია 10 ოჯახი.

სოფელ ჩხუტელში ადიდებულმა ღელემ დაახრჩო საშუალო სკოლის პედაგოგი ს. ქარსელაძე (70 წლისა).

რაიონში სტიქიური მოვლენების შედეგად ახალ საცხოვრებელ ადგილებზე დასახლებას საჭიროებს 300-მდე ოჯახი, რაც ადგილობრივი საშუალებებით შეუძლებელია. მოსახლეობა მოითხოვს, გამოინახოს შესაძლებლობები რაიონის ფარგლებს გარეთ მათი დასახლებისათვის.

1 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ თავის სხდომაზე განიხილა რაიონში შექმნილი მდგომარეობა და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

იმავე დღეს რაიონში ჩამოვიდა და მუშაობას შეუდგა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ შექმნილი სამთავრობო კომისია მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის გურამ მირიანაშვილის ხელმძღვანელობით.

რაიონში მობილიზებულია არსებული ტექნიკა, სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო შტაბის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს გზების, ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის საშუალებების აღდგენითი სამუშაოები, ხორციელდება უსაფრთხო ადგილებში მოსახლეობის გახიზვნის ღონისძიებები. დღეისათვის მეწყრული ზონებიდან მეზობელთა სახლებში, სასტუმროსა და საერთო საცხოვრებლებში შეხიზნულია 50-ზე მეტი ოჯახი.

მოსახლეობის მომარაგებაში ჯერჯერობით სერიოზული შეფერხებები არ არის. პრობლემაა მხოლოდ ბენზინით და, საერთოდ, საწვავით მომარაგება. ამ საქმეს კი განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება, მითუმეტეს, რომ დიდთოვლობის დროს მოსალოდნელია მეტი გართულებები.

ვაჟა თევდორაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მიწისძვრა ბოგდანოვკის რაიონში

2 დეკემბერს, თბილისის დროით, 2 საათსა და 31 წუთზე ბოგდანოვკის რაიონში მოხდა მიწისძვრა, რომლის სიძლიერე 5 ბალს შეადგენდა. მიწისძვრის ეპიცენტრი რაიონული ცენტრიდან 10-15 კილომეტრზე მდებარეობდა.

მსხვერპლი და ნგრევა არ ყოფილა. (საქინფორმი).

ფრენა განახლდა

1 დეკემბრის ნაშუადღევიდან თბილისის აეროპორტმა განაახლა 30 ნოემბერს შეწყვეტილი მუშაობა. საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილეს პალადი კაძანაიას ეპასუხა კითხვაზე, თუ რით იყო გამოწვეული აეროპორტის მოცდენა?

— უკვე მეორე თვეა საწვავის დეფიციტს განვიცდით აზერბაიჯანის მხრივ რკინიგზაზე მატარებლების მოძრაობის შეწყვეტის გამო. სატრანსპორტო ბლოკადა დღემდე გვიშლის ხელს მივიღოთ ათასობით ტონა ჩვენი კუთვნილი საწვავი. მაგრამ აეროპორტის მუშაკები თუმცა გაჭირვებით, მაინც ახერხებდნენ უზრუნველეყოთ თვითმფრინავების ნორმალური მიღება და გამგზავრება. შეფერხება მოხდა 30 ნოემბერს, როცა საწვავის უქონლობის გამო მაინც დაირღვა ფრენის გრაფიკი. მაგრამ მეორე დღის ნაშუადღევს ჩვენ დავიწყეთ იმ მგზავრების გასტუმრება, ვინც ვერ შეძლო თბილისიდან გაფრენილიყო წინა დღეს საღამოს, 2 დეკემბრის შუადღისათვის კი აეროპორტმა ფუნქციონირება დაიწყო უკვე ზუსტად განრიგის მიხედვით. საწვავი ბათუმიდან მივიღეთ.

უნდა აღვნიშნო, რომ არც ერთ მგზავრს არ გამოუთქვამს პრეტენზიები აეროფლოტისადმი, სხვა ქალაქების მგზავრები, უწინარეს ყოვლისა მცირეწლოვანი ბავშვების პატრონები მოვათავსეთ სასტუმროში, დედათა და ბავშვთა ოთახებში. მაგრამ ბევრს, სამწუხაროდ, ღამის გათევა მოუწია აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში, რისთვისაც ბოდიშს ვუხდით.

თენგიზ ჩხიკვაძე,
საქინფორმის კორ.

მეგობრის ხსოვნას

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ დიდი დანაკლისი განიცადა, მოულოდნელად წავიდა ჩვენგან სამშობლოს სიყვარულით გულანთებული კაცი, კარგი მეუღლე და მამა, მოქალაქე, ულალატო მეგობარი, შესანიშნავი ჟურნალისტი ვაჟა ჩაჩიბაია.

ყველა ჩვენგანისთვის მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო მისი გარდაცვალება. ორშაბათ დილით მისთვის ჩვეული პასუხისმგებლობით მომზადებული კორესპონდენციებით სავსე პაკეტი მივიღეთ, ორ მასალასაც ხვალ დილით მოგაწვდითო, გვატყობინებდა. მაგრამ... მათი მიღების ნაცვლად, მისი გარდაცვალების გულშემძვრელი ამბავი გვაუწყეს...

ორიოდ კვირაში 58 წლისა გახდებოდა ვაჟა ჩაჩიბაია. მძიმე და დუხჭირი იყო მისი სიჭაბუკე. მამა დიდ სამამულო ომში დაეღუპა, მხოლოდ საკუთარი ნიჭითა და გარჯით გაიკვალა ცხოვრების გზა — ჯერ ზუგდიდის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი დაამთავრა, მერე — სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი.

ყველგან, სადაც კი უმსახურია — კულტურის დაწესებულებებში, საბჭოთა, პარტიულ, ჟურნალისტურ თუ პროფკავშირულ სამუშაოზე — მუდამ გამოირჩეოდა პასუხისმგებლობით, საქმის ცოდნითა და სიყვარულით, ჭეშმარიტი ადამიანური თვისებებით. ამიტომაც უყვარდათ და ანგარიშს უწევდნენ მის აზრს.

ახალგაზრდობის წლებიდანვე აქტიურად თანამშრომლობდა რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში. 1985 წლიდან კი „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი იყო. მისი სახით ჩვენს კოლექტივს შემოემატა კეთილშობილი პიროვნება, პროფესიონალი, რომლის ყოველ წერილს ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა საკითხზე, ჭირსა თუ ლხინზე, მკითხველი ენდობოდა და აფასებდა...

სამწუხაროდ, არ დასცალდა განეხორციელებინა ბევრი კარგი ჩანაფიქრი, მოულოდნელად ულალატა ამდენი ჯაფითა და განცდით დაღლილმა გულმა.

მშვიდობით ჩვენი ღირსეულო კოლეგავ და მეგობარო!

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის კოლექტივი.

როგორი ამინდი იქნება დეკემბერში?

ზამთარი კარს მოგვადგა. მისი პირველი თვე — დეკემბერი ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე საშუალოდ 3-6 გრადუსით ცივია ნოემბერთან შედარებით. კლიმატური მონაცემებით ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში მერყეობს 6-9 გრადუსის ფარგლებში, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში 0-დან 3 გრადუსამდე. მაგრამ ცალკეულ წლებთან შედარებით იგი მკვეთრად განსხვავდება აღნიშნული საშუალო მრავალწლიური მნიშვნელობისაგან, როგორც ეს იყო, მაგალითად, 1981 წელს, როცა ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა 2-4 გრადუსით მაღალი იყო ნორმაზე, ხოლო 1984 წელს თითქმის ამდენადვე დაბალი. ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი რესპუბლიკის დაბლობ რაიონებში აღწევს 20-24 გრადუსს, კოლხეთის დაბლობზე ზოგან 28 გრადუსს, აბსოლუტური მინიმუმი დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში იკლებს 6-16 გრადუსამდე ყინვა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ბარში 15-25 გრადუსამდე ყინვა.

ნალექების რაოდენობა აჭარის სანაპირო რაიონებში შეადგენს 240-260 მმ-ს, დასავლეთ საქართველოს დანარჩენ რაიონებში 100-200 მმ, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე კი 10-დან 50 მმ-მდე.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრის ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა მიმდინარე წლის დეკემბერში დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში მოსალოდნელია 8-11 გრადუსი, ხოლო მთიან რაიონებში 3-6-მდე, მაღალმთიან რაიონებში მინუს 2, პლუს 1 გრადუსი, რაც 2 გრადუსით მაღალია საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობაზე. თვის მეორე ნახევარში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება ღამით დაბლობში 0-2 გრადუს ყინვამდე, ასეთი ტემპერატურა ციტრუსოვანი კულტურებისათვის საზიანო არ არის და მათი გამოზამთრებისათვის დამაკმაყოფილებელი პირობები იქნება. მთიან რაიონებში ყინვა მიაღწევს 2-7, ხოლო მაღალმთიანეთში 11-16 გრადუსს.

ნალექების რაოდენობა აჭარაში და ჩრდილო მთიან რაიონებში მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ რაოდენობასთან ახლოს, დანარჩენ რაიონებში მასზე ნაკლები.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა მოსალოდნელია 2-5, მთაში 0-3, მაღალმთიანეთში მინუს 1, მინუს 3 გრადუსი იქნება. რაც 2 გრადუსით მაღალია საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობაზე. შედარებით ცივი ამინდია მოსალოდნელი თვის მეორე ნახევარში. ცალკეულ დღეებში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება ღამით ბარში 3-8 გრადუსი ყინვა, მთაში 5-10, ხოლო მაღალმთიანეთში 11-16 გრადუსი ყინვა, რაც სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის საშიში არ იქნება.

ნალექების რაოდენობა სამხრეთ მთიან რაიონებში მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ რაოდენობასთან ახლოს, დანარჩენ რაიონებში მასზე ნაკლები.

დასავლეთ საქართველოს მდინარეთა წყალუხვობა მოსალოდნელია ნორმაზე მეტი, აღმოსავლეთ საქართველოში კი ნორმის ფარგლებში.

ნიკოლოზ ბერაძე,
საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე — ჰიდრომეტცენტრის უფროსი.

სპორტის ამბები

მიხეილ მესხის პრიზზე

პირველი შედეგები

იმის გამო, რომ თბილისის საერთაშორისო ტურნირში მოწვეული სამი გუნდი (სსრ კავშირის ნაკრები, მოსკოვის „დინამო“, გდრ-ს ნაკრები) თბილისში დროულად ვერ ჩამოვიდა, შეჯიბრების კალენდარი საგრძნობლად შეიცვალა. სასტარტო მატჩში სპორტის სასახლის სარბიელზე უხმეს თბილისის „დინამოსა“ და დასავლეთ ბერლინის ფეხბურთელებს. პირველი წუთებიდანვე ცხადი გახდა, რომ სტუმრების შანსი ერთობ მოკრძალებული იყო. დინამოელები გამუდმებით უტევდნენ და ზედიზედ გაჰქონდათ გოლები. ანგარიში მე-2 წუთზე მანუჩარ მაჩაიძემ გახსნა. პირველ ტაიმში (მატჩი ორი 15-წუთიანი ტაიმისაგან შედგება) ვახტანგ კოპალეიშვილმა, ლევან ნოდიამ და რამაზ შენგელიამ ოთხამდე გაზარდეს ანგარიში. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა კიდევ ოთხი გოლი გაიტანეს, გერმანელმა ფეხბურთელებმა კი ორჯერ მიაღწიეს მიზანს. 8:2 — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვა „დინამომ“.

ცოტა ხანში თბილისელებს კვლავ უხმეს მოედანზე. ამჯერად მათი მეტოქე იყო თურქეთის გუნდი. ამ შეხვედრაში „დინამოს“ უფრო საგრძნობი უპირატესობა ჰქონდა და ამას ანგარიშიც მეტყველებს — 14:0.

ტურნირის პირველ დღეს კიდევ ორი მატჩი გაიმართა: ერევნის „არარატი“ — ზაარბრიუკენის (გფრ) ნაკრები — 3:3, თურქეთი-დასავლეთ ბერლინი — 0:3.

გუშინ მოეწყო შეჯიბრების საზეიმო გახსნის ცერემონიალი და გაგრძელდა წინასწარი შეხვედრები. შეგახსენებთ, რომ ტურნირში მონაწილე გუნდები ორ ჯგუფში ასპარეზობენ. ჯგუფებში პირველ ადგილებზე გასულები დღეს ტურნირის მთავარი პრიზისთვის იბრძოლებენ. დღესვე გაიმართება თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ ვეტერან ფეხბურთელთა ამხანაგური მატჩი, გათამაშდება 8 ავტომანქანა ჟიგული.

— ჩვენ სიამოვნებით დავთანხმდით ამ ტურნირში მონაწილეობაზე, — გვითხრა ზაარბრიუკენის გუნდის მენეჯერმა მანფრედ გერტნერმა, — თბილისი ხომ ზაარბრიუკენის დამძობილებული ქალაქია, თანაც ტურნირი წარსულში შესანიშნავი ფეხბურთელის მიხეილ მესხის სახელს ატარებს. თბილისის დინამოელები რამდენიმეჯერ იყვნენ ჩვენს ქალაქში, მონაწილეობდნენ ტრადიციულ საახალწლო ტურნირში და მაღალი ოსტატობით საყოველთაო მოწონება დაიმსახურეს. ამგვარი შეჯიბრება ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნის ადამიანთა დაახლოებასა და მისი მთავარი დანიშნულებაც ალბათ ეს არის, როგორც გვითხრეს, მესხის პრიზის გათამაშება ტრადიციული გახდება და აქ, იმედია, კიდევ ბევრჯერ მოგვიწევს ჩამოსვლა.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

ტელევიზია — კვირა, 3 დეკემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.55 — „მუსიკალური ფოსტა“. 11.00 — საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის. 11.30 — კინოაფიშა. 12.00 — „კინომოზაიკა“. 12.45 — საკვირაო გამოფენა. ლ. გრიგოლია. 12.50 — ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი. 13.20 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.50 — მოსწავლეთათვის. „წყაროსთვალი“. 14.35 — საკვირაო გამოფენა. ლ. გრიგოლია. 14.40 — „ვესტნიკი“. 15.10 — „მამული, ენა, სარწმუნოება“ (მე-4 გადაცემის გამეორება). 16.05 — საკვირაო გამოფენა. ლ. გრიგოლია. 16.10 — მღერის ვაჟთა ვოკალური ტრიო „თბილისი“. 16.30 — „თბილისი და თბილისელები“. სატელევიზიო ჟურნალი. 17.10 — ნ. დუმბაძე. „საბრალდებო დასკვნა“ (რუსთაველის თეატრის სპექტაკლი). 20.00 — მოამბე. 20.35 — ძილისპირული. 20.50 — სატელევიზიო ჟურნალი „ახალგაზრდობა“. 22.00 — შვიდი დღე. 23.00 — „ფაზისი“. მსოფლიოს გარშემო“. 23.30 — მ. მესხის სახელობის საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.20 — რიტმული ტანვარჯიში. 9.50 — „სპორტლოტოს“ ტირაჟი. 10.00 — დილაადრიან. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს. 12.00 — დილის ფოსტა. 12.30 — მოგზაურთა კლუბი. 13.30 — ანიმაციური კინოს პირველი საკავშირო ფესტივალის ფილმები „კროკი“, „გაკვეთილი“, „ქარი“. 14.10 — დოკუმენტური ფილმები. 14.50 — მუსიკალური კიოსკი. 15.20 — ჯანმრთელობა. 16.05 — „ცისარტყელა“. არაბთა გაერთიანებული საამიროების ტელევიზიის მუსიკალური პროგრამა. 16.30 — საბავშვო საინფორმაციო-პუბლიცისტური პროგრამა. 18.00 — სოფლის საათი. 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“. 19.45 — ხალხური მელოდიები. 20.20 — „ბოშა“. მხატვრული ფილმი. პირველი სერია. 22.00 — 7 დღე. 23.00 — ექიმ-ფსიქოთერაპევტის ა. მ. კაშპიროვსკის ჯანმრთელობის სეანსები. მე-5 გადაცემა. 0.15 — ფესტივალი „სსრკ-აშშ-ის ახალგაზრდა კომპოზიტორები“.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — „ნარვის ჩანჩქერი“. მხატვრული ფილმი. 1-ლი და მე-2 სერიები. 11.25 — გამოდის ბელორუსიის სსრ ხალხური მუსიკის ანსამბლი „ჟივიცა“. 11.55 — დოკუმენტური ფილმის პრემიერა „ფრთხილად, ბავშვები არიან!“. 12.05 — ახალი ამბები. 12.15 — ა. ვივალდი — კონცერტი სამი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის ფა მაჟორი. 12.30 — მოგზაურთა კლუბი. 13.30 — „სახელმწიფოს მარადიული სიყვარული. მოსკოვის კრემლი“. მე-6 ფილმი. 14.00 — „ალბატროსის“ უკანასკნელი რეისი“. მხატვრული ფილმი. მე-3 და მე-4 სერიები. 16.15 — დოკუმენტური ფილმის პრემიერა „მე ვირჩევ სიყვარულს“. 16.40 — გფრ-ის ტელევიზიის პროგრამა. 18.00 — საინფორმაციო გამოშვება. 18.15 — მოკავშირე რესპუბლიკების კინოპუბლიცისტიკა. „ბეგიმ დონბაევის შანსი“ (ალმა-აათა). 18.45 — „მსოფლიო და ომი“. სატელევიზიო ნარკვევი. 19.20 — წყალბურთი სსრკ თასის ფინალი. 20.00 — პრესკლუბი. 1-ლი ნაწილი. 21.00 — „ძილი ნებისა პატარებო!“. 21.15 — პრესკლუბი. მე-2 ნაწილი. 22.00 — 7 დღე. 23.00 — პრესკლუბი. მე-3 ნაწილი. 1.15 — ეს აღელვებს მსოფლიოს.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 ეე 07122 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14